

სახელმძღვანელო მედიისთვის



ძალადობრივ

ექსტრემიზმთან

დაკავშირებული საკითხების გაშუქება



საქართველოს
ჟურნალისტური
ეთიკის ქარტია

სახელმძღვანელო მედიისთვის

ძალადობრივ ექსტრემიზმთან
დაკავშირებული საკითხების გაშუქება

თბილისი, 2019

ავტორი: ლაშა ქავთარაძე

რედაქტორი: ნატა ძველიშვილი

კვლევის კონსულტანტი: მარიამ თოხაძე

კვლევის კონტრიბუტორები: გიორგი გოგუაძე, ლევან დოლიძე

წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადდა საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრის მიერ, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქართვასთან პარტნიორობით, „ადგილობრივი საზოგადოების მხარდაჭერის ინიციატივის“ პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის, გლობალური ჩართულობის ცენტრის (GEC) ძალისხმევით. პროექტი საქართველოში ხორციელდება PH International - ის საქართველოს ოფისის და საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის (GCSD) პარტნიორობით.

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით. დოკუმენტში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის პოზიციას.

სარჩევი

შესავალი.....	6
1. რადიკალიზაცია და ძალადობრივი ექსტრემიზმი.....	10
1.1 მედია და ტერორიზმი.....	17
1.2 მედია და რადიკალური მემარჯვენე ჯგუფები	21
1.3 ქართული კონტექსტი.....	25
2. მედია, ტერორიზმი და ჯგუფების გაშუქება.....	32
2.1 გაშუქების კუთხე და კონტექსტი - ნორმალიზების საფრთხე.....	33
2.2 რომანტიზებისა და გმირებად წარმოჩენის საფრთხე.....	39
2.3 მოქალაქეთა მიმართვაები და პანიკის დათესვა მუსახლეობაში.....	44
2.4 კირდაპირი ეთერი.....	48
2.5 სტერეოტიპები.....	54
2.6 აზიების ვიზუალური მხარე.....	58
2.7 ტერმინოლოგია.....	62
2.8 სოციალური მედია	66
ძალადობრივ ექსტრემიზმთან და ტერორიზმთან დაკავშირებულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი.....	72
გამოყენებული ლიტერატურა.....	79

შესავალი

„არ არსებობს ძალადობრივი ექსტრემიზმის ზოგადი ნიშნები, მისთვის დამახასიათებელი ცალკეული დემოგრაფიული პროფილი ან ტიპური გზა მისკენ,“ - აღნიშნავენ მკვლევრები ენდრიუ ჰოსკინსი და ენდრიუ ოლაფლინი მედიასა და რადიკალიზაციის მითებზე საუბრისას (2009:109). თუმცა, ამით ისინი ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზმის არსებობას კი არ გამორიცხავენ, არამედ ხაზს უსვამენ საკითხის კომპლექსურობას და მასზე საუბრის სირთულეს, უპირველეს ყოვლისა, მედიის კონტექსტში.

მედიისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის ურთიერთმიმართებას ხშირად აღწერენ ხოლმე სიტყვით „სიმბიოზური“, რითაც ხაზს უსვამენ, რომ ერთი მხრივ, მედია მიდრეკილია დაუზარებლად გააშუქოს იდეოლოგიურად მოტივირებული ძალადობის შემთხვევები, მეორე მხრივ კი, მოძალადის ერთ-ერთი მთავარი მიზანი შეიძლება იყოს მედიის ყურადღების მიქცევა საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის რაც შეიძლება ფართოდ გასავრცელებლად (Spencer 2012). ამ შედარებაში შესაძლოა იყოს სიმართლის მარცვალი, მაგრამ ამავდროულად, ეს რეალობის გამარტივებაცაა, რადგან მედიის უპირველესი მოვალეობა სწორედ ინფორმაციის გავრცელებაა - იქნება ეს ტერორიზმის, ნეონაცისტური ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულების თუ ინდივიდუალური მოტივით ჩადენილი კრიმინალის შესახებ.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო წესები ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას სწორად შენიშნავს, რომ „საზოგადოებას აქვს უფლება მიიღოს ინფორმაცია ტერორიზმთან და მოსალოდნელ საფრთხეებთან დაკავშირებით, თუმცა მედიას აკისრია პასუხისმგებლობა, უნებურად არ გახდეს ხელშემწყობი ტერორისტული შინაარსის მიმართვების თუ მონოდეტების ტირაჟირებისა“ (qartia.ge, 2019)

სწორედ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ეს რეკომენდაცია გასდევს გამჭოლ ხაზად წინამდებარე სახელმძღვანელოს, რომელიც შეეც-

დება, ქართული კონტექსტის გათვალისწინებით, ისაუბროს მედიისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის ურთიერთმიმართებაზე როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ჭრილში. სახელმძღვანელო განკუთვნილია ჟურნალისტებისათვის, მედიაში მომუშავე პროფესიონალებისათვის, აქტივისტებისთვის, მასობრივი კომუნიკაციების სტუდენტებისათვის და სხვა დაინტერესებული ადამიანებისათვის, ვისთვისაც მნიშვნელოვანია იცოდეს თუ როგორ უნდა გააშუქოს მედიამ ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული საკითხები ისე, რომ ხელი შეუწყოს საზოგადოების ინფორმირებას და ამავდროულად, უნებურად არ იქცეს ძალადობრივ ექსტრემიზმში ჩართული ადამიანების თუ ჯგუფების მოკავშირედ.

დასაწყისშივე უნდა ითქვას, რომ სახელმძღვანელოში ყურადღება გამახვილებული იქნება არა მხოლოდ რელიგიური ნიშნით მოტივირებულ ტერორიზმზე, როგორც ძალადობრივი ექსტრემიზმის გამოვლინებაზე, არამედ რადიკალურ მემარჯვენე ჯგუფებსა და ნეონაციისტურ გაერთიანებებზეც, რომელთა აქტიურობაც განსაკუთრებით შესამჩნევი საქართველოში გასული რამდენიმე წლის მანძილზე გახდა. რადიკალიზაციის ეს ფორმები ერთმანეთისაგან განსხვავდება ბევრი ნიშნით, თუმცა, მათ შორის მსგავსების დანახვაც შესაძლებელია, რაც ძალადობრივი მეთოდების გამოყენებაში გამოიხატება.

ძალადობრივი ექსტრემიზმის თანმდევი პროცესები კი გამონწვევას ქმნის არა მხოლოდ სახელმწიფოსთვის, კონკრეტული საზოგადოებრივი ჯგუფების თუ მთლიანად საზოგადოებისთვის, არამედ მედიისთვისაც. ტერორიზმის თუ მემარჯვენე რადიკალური ჯგუფების გაშუქებისას მედიამ არა მხოლოდ საჯარო ინტერესი უნდა დააკმაყოფილოს და საზოგადოებას მიანოდოს გადამონმეხული, ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია, არამედ მან ასევე უნდა სცეს პატივი ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, ადამიანების პირად ცხოვრებას და თავიდან აირიდოს საზოგადოებრივი ჯგუფების სტერეოტიპიზაციისა და დისკრიმინაციის საფრთხეები. გარდა ამისა, ჟურნალისტები მსგავს სენსიტიურ თემებზე მუშაობისას ყურადღებით უნდა იყვნენ, რომ თავიანთი საქმიანობით მოძალადეები გმირებად არ წარმოაჩინონ და ხელი არ შეუწყონ მათ განდიდებას.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, წინამდებარე სახელმძღვანელო სამ ნაწილადაა გაყოფილი. პირველ ნაწილში, ყურადღება გამახვილებული იქნება ცნებების თეორიულ თავისებურებებზე, მათ შორის ისეთ ტერმინებზე როგორცაა *ტერორიზმი*, *რადიკალიზაცია*, *ექსტრემიზმი* და ა.შ. ეს ცნებები არ არის ნეიტრალური ღირებულების მქონე სიტყვები, მათი გამოყენებისას, როგორც წესი, გარკვეული შინაარსით ვტვირთავთ კონკრეტულ მოვლენებსა თუ ინდივიდებს. ამიტომაც ყოველთვის მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ აღნიშნულ ტერმინები სიფრთხილით უნდა გამოვიყენოთ. გარდა ამისა, სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი ყურადღებას გაამახვილებს მედიისა და ტერორიზმის, ისევე როგორც მედიისა და ნეონაცისტური ჯგუფების ურთიერთმიმართებაზე თეორიულ დონეზე, მიმოიხილავს ამ თემებზე არსებულ ლიტერატურას და მოკლედ მოგაწვდით ინფორმაციას ქართულ კონტექსტზე როგორც ტერორიზმთან, ისე რადიკალიზებული მემარჯვენე ჯგუფებთან დაკავშირებით.

სახელმძღვანელოს მეორე ნაწილს პრაქტიკული დანიშნულება აქვს და მასში შემავალი თითოეული ქვეთავი სამი ნაწილისაგან შედგება: ძალადობრივ რადიკალიზაციასთან დაკავშირებული თემების გაშუქებისას, არსებული საერთაშორისო რეკომენდაციების მიმოხილვა, თემის გაშუქების კონკრეტული მაგალითი მედიიდან და შეკითხვები მსჯელობისათვის.

სახელმძღვანელოს ბოლოს, მოცემულია მოკლე განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც თავს უყრის იმ სიტყვებს, რაც შესაძლოა, ყველაზე ხშირად გამოიყენებოდეს ტერორიზმთან თუ ნეონაცისტური ჯგუფების გაშუქებასთან კავშირში და რომლებსაც შესაძლოა, შინაარსობრივი ბუნდოვანება ახასიათებდეთ. ლექსიკონში გამოყენებული სიტყვები სხვადასხვა წყაროს ეყრდნობა, რაც მითითებული იქნება ყოველი განმარტების ბოლოს.

ცხადია, ეს სახელმძღვანელო, თავისი მასშტაბიდან გამომდინარე, სრულად ვერ დაფარავდა ყველა იმ პრობლემურ საკითხს, რომელიც არსებობს ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის გაშუქებისას. მაგალითად, სახელმძღვანელო გვერდს უვლის ისეთი თემების დაწვრილებით განხილვას, როგორცაა ძალადობრივი შემთხ-

ვევების მსხვერპლებთან ჟურნალისტების კომუნიკაცია, მედიის მუშაობა დერადიკალიზაციისთვის, ჟურნალისტების წინაშე არსებული ადამიანური სირთულეები და გამონვევები, რომლებთან გამკლავებაც უნევთ სენსიტიურ თემებზე მუშაობისას და ა.შ. მიუხედავად ამისა, ვიმედოვნებთ, რომ ეს სახელმძღვანელო ქართულ რეალობაში გააჩენს სანყის ცოდნას ძალადობრივ ექსტრემიზმსა და რადიკალიზაციასთან დაკავშირებული ამბების მაღალი სტანდარტით გაშუქებისთვის და ხელს შეუწყობს პროფესიული დისკუსიების წამოწყებას ამ თემასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებზე.

1. რადიკალიზაცია და ძალადობრივი ექსტრემიზმი

ტერმინები, რომელთა გამოყენებაც ხშირად მოგვიწევს სახელმძღვანელოში არ არის უბრალოდ აღწერითი, ნეიტრალური ტერმინები. ისინი დიდწილად კონტექსტზე არიან დამოკიდებული და როგორც სოციალურ მეცნიერებებსა და მეცნიერების ფილოსოფიაში უწოდებენ ხოლმე, არსებითად სადავო კონცეპტებია (Gallie, 1955). შოტლანდიელი მეცნიერისა და ფილოსოფოსის უოლტერ გალიეს მიერ ჩამოყალიბებული არსებითად სადავო კონცეპტები გულისხმობს, რომ ასეთი სიტყვები არა ნეიტრალურ, არამედ შეფასებით მნიშვნელობებს ატარებენ, აღნიშნავენ შინაარსობრივად კომპლექსურ საკითხებს და აღნიშნული საკითხებისთვის გარკვეული შეფასების მინიჭება დამოკიდებულია ცვალებად გარემოებებზე. შესაბამისად, ისინი ინტერპრეტაციის საგნები არიან და არ გააჩნიათ ერთი, საყოველთაოდ შეთანხმებული მნიშვნელობა. მაგალითად, ასეთი ცნებებია „დემოკრატია“, „სოციალური სამართლიანობა“, „ხელოვნება“ და ა.შ. არსებითად სადავო კონცეპტები სხვადასხვა დროში, სხვადასხვა სივრცესა და საზოგადოებაში შესაძლოა სხვადასხვა მნიშვნელობას იძენდნენ (ibid).

სწორედ ამგვარ ტერმინებად შეიძლება განვიხილოთ ის სიტყვები, სიტყვები, რომლითაც აღინერებებიან ხოლმე ინდივიდები თუ საზოგადოებრივი ჯგუფები მედიაში, აკადემიურ თუ საჯარო სივრცეში და რომელთა გაშუქების შესახებაც იქნება საუბარი ამ სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში: **რადიკალიზაცია** და (ძალადობრივი) **ექსტრემიზმი**. თუმცა, ვიდრე ამ საკითხების მედიაში გაშუქებაზე ვისაუბრებდეთ, საჭიროა, ამ ტერმინების თეორიულ გაგებას შეძლებისდაგვარად მოვფინოთ ნათელი.

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ხსენებული ეს ორი ტერმინი ერთმანეთის სინონიმები არ არის და შესაბამისად, ისინი არ უნდა გავაიგივოთ. როგორც ბარქაია და ჯანელიძე თეორიული და ემპირიული ლიტერატურის მოშველიებით აღნიშნავენ 2018 წელს

გამოქვეყნებულ კვლევაში, „უსაფრთხოების მზერის ქვეშ: ისტორია, პოლიტიკა და რელიგია პანკისის ხეობაში“, ექსტრემიზმის პრევენციის ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ-თეოლოგიური პროგრამებისა თუ ინიციატივების ერთ-ერთი პრობლემა სწორედ ამ ტერმინების (პლუს ტერორიზმი) გაიგივებაა. გარდა ამისა, ხაზგასმულია ისიც, რომ არ არსებობს ემპირიული მონაცემები, რომლებიც დაზუსტებით იტყვოდა, რომ ერთი მხრივ, ექსტრემისტული იდეოლოგია ინვესტ ტერორიზმს ან რომ რადიკალიზაცია აუცილებელი წინაპირობაა ტერორიზმისთვის (ბარქაია და ჯანელიძე, 2018). კვლევის ავტორები თავიანთ მსჯელობას ტერმინოლოგიურ პრობლემაზე შემდეგი დათქმით იწყებენ: „ხანდახან ისეც ხდება ხოლმე, რომ სიტყვები, რომლებსაც ადამიანების, თუ მათი ცხოვრების წესის აღსაწერად ვიყენებთ, ასე ცხადი და უვნებელი რომ გვეჩვენება ერთი შეხედვით, იმთავითვე გამოავლენენ ხოლმე მათსავე შინაგან წინააღმდეგობრიობას და სიცხადის ელფერსაც კარგავენ, რა წამსაც უმარტივეს, მათსავე საზრისთან დაკავშირებულ შეკითხვებს დავსვამთ“ (ibid, 72). სწორედ ასე ხდება, როდესაც მაგალითად, „რადიკალიზაციაზე“ ვსაუბრობთ.

რადიკალიზაცია

არაერთი ავტორი აღნიშნავს, რომ ტერმინი რადიკალიზაცია ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ქარბად არის გამოყენებული როგორც მედიატექსტებში, ისე აკადემიურ ლიტერატურაში. თუმცა, იგი, ხშირად, საერთოდ არ არის განმარტებული ანდა მისი დეფინიცია ბუნდოვანია. ეს სახელმძღვანელო კრიტიკულად უყურებს ტერმინ „რადიკალიზაციის“ გამოყენებას, როდესაც მისი გათანაბრება ხდება ფუნდამენტალიზმთან, ინდოქტრინაციასთან, ექსტრემისტულ ან ძალადობრივ აქტებთან (Alava et al. 2017). სიტყვა რადიკალიზმის წარმომავლობიდან და ისტორიიდან გამომდინარე, ხაზი უნდა გაესვას სიტყვის, როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ გაგებას.

რადიკალიზაცია შესაძლოა, გაგებულ იყოს როგორც „ვისიმე განმტკიცება საკუთარ ცოდნაში, შეხედულებებში, ღირებულებებსა და რწმენებში, რომელიც განსაზღვრავს მის ქმედებებს“. ამ გაგებით

ნებისმიერი რევოლუციური სამეცნიერო თეორია თუ პოლიტიკური ბრძოლა (მაგალითად, სუფრაჟისტული მოძრაობა, მარქსიზმი, განდის ბრძოლა ბრიტანული კოლონიალიზმის წინააღმდეგ და ა.შ.) შესაძლოა რადიკალურად შეფასდეს (ibid). ამგვარად, აუცილებელია განვასხვავოთ როგორც რადიკალურ იდეები და რადიკალურ ქმედებები, ისე რადიკალური ქმედებები და რადიკალური ძალადობრივი ქმედებები ერთმანეთისაგან.

UNESCO-ს მიერ გამოცემული კვლევის ანგარიში *Youth and Violent Extremism on Social Media*, რადიკალიზმის განმარტებისას სამ სხვადასხვა ავტორს ეყრდნობა. Khosrokhavar (2014) უფრო მეტად მიკრო-დონეზე განმარტავს კონცეპტს, რამდენადაც იგი ძალადობრივ რადიკალიზაციას ხედავს როგორც ძალადობრივი ქმედებებისადმი პირის ინდოქტრინაციას ემოციურ და კოგნიტურ დონეზე (Alava et al. 2017). მისი განმარტების მიხედვით, პიროვნების რადიკალიზაციის პროცესს ზურგს უმაგრებს ექსტრემისტული იდეოლოგია, რომელიც არსებული პოლიტიკური, სოციალური და კულტურული წესრიგის შეცვლას ისახავს მიზნად.

გერმანელი სოციოლოგი ვილჰელმ ჰეიტმეიერი, რომელიც უფრო მეტად მემარჯვენე რადიკალიზმს სწავლობდა, ტერმინის განმარტებისას სოციალური დეზინტეგრაციის თეორიას იყენებს. მისი მიდგომის მიხედვით, რადიკალიზაციის პროცესი არის პირად გამოცდილებებსა და სოციალურ პირობებზე დაფუძნებული სოციალური უკმაყოფილების შედეგი. იგი წერს, რომ „პრაქტიკაში, მემარჯვენე ექსტრემისტული ორიენტაცია ხშირად დაფუძნებულია პოლიტიკური დემოკრატიის, ინდივიდუალური თავისუფლებების, შესაძლებლობებისა და თანასწორობის შეუსრულებელ პირობებზე“ (Heitmeyer, 1989, p. 164-76 in Alava et al. 2017).

კიდევ ერთი ავტორი შმიდი, რომელიც რადიკალიზაციას ინდივიდუალურ და კოლექტიურ დონეზე ეკოსისტემების ჩარჩოში იკვლევს, ყურადღებას ამახვილებს პოლიტიკურ პოლარიზაციაზე (2013). ეს მიდგომა გამოირჩევა იმითაც, რომ აქცენტს აკეთებს ხშირად მხედველობიდან გამორჩენილ ისეთ საკითხებზე, როგორცაა დემოკრატიული დიალოგის რღვევა და მათში მოქალაქეთა ჩართულობა. იგი ყურადღებას ამახ-

ვილებს იმაზე თუ როგორ ხდება გაბატონებული, კოლექტიური, იდეოლოგიური დისკურსების მიერ „ჩვენი“ და „სხვების“ ხატების შექმნა (მაგალითად, „ქაფირები“ ისლამისტურ რადიკალიზაციაში, ან „ღორები, ველურები“ მემარჯვენე რადიკალიზებულ ჯგუფებში).

ამგვარად, ალავა და სხვ. (2017) გამოყოფენ სამ ძირითად დონეს რადიკალიზაციის კონცეპტუალიზაციისას: ა) ინდივიდის შესაძლო სწრაფვას იდეოლოგიის მნიშვნელობისა და ფუნდამენტებთან დაბრუნებისაკენ; ბ) ინდივიდის, როგორც ჯგუფის წევრის მიერ იდეოლოგიის ძალადობრივი ხერხებით გამოხატვას; და გ) სოციალური სივრცის პოლარიზაციას და ერთგვარი განტეხვების ვაცების ძიებას კოლექტიურ „სხვაში“, რაც მათი ფიზიკური დევნით სრულდება ხოლმე.

კიდევ ერთი ავტორი, ასტა მასკალიუნაიტე, რომელიც ტერორისტული რადიკალიზაციის შესახებ არსებული თეორიული ცოდნის მიმოხილვას გვთავაზობს, აღნიშნავს, რომ რადიკალიზაცია არის „პროცესი, რომლის მეშვეობითაც, ადამიანი შეითვისებს რწმენათა სისტემას, რომელიც ამართლებს ძალადობის გამოყენებას სოციალური ცვლილების მისაღწევად და რომელსაც თან ახლავს პოლიტიკური მიზნებით ძალადობრივი საშუალებების გამართლება და გამოყენება“ (2015: 9). მასკალიუნაიტე ხაზს უსვამს, რომ რადიკალიზაცია არის პროცესი, რომელიც ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება, შეწყდეს ანდა რომელმაც განვითარების სხვადასხვა გზა ჰპოვოს. ძალადობრივ ქმედებებში ჩართვისას, მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სოციალურ კავშირებს, ხოლო იდეოლოგია, როგორც ასეთი, არ შეიძლება, მივიჩნიოთ აპრიორი გადამწყვეტ ფაქტორად პირის ძალადობრივ პროცესში ჩართვის დროს (ibid).

კალიასი, ზეიგერი და ოზთურქი (2018) კი ულტრა მემარჯვენე ჯგუფებთან კავშირში რადიკალიზაციას განმარტავენ როგორც კოგნიტიურ და ქცევით ეტაპობრივ, დინამიკურ ტრანსფორმაციას, რომელიც საზოგადოების ძირეული ღირებულებების საწინააღმდეგოდ განაწყობს ინდივიდსა თუ ჯგუფს და რომელიც რადიკალური საშუალებებით ფუნდამენტური ცვლილებების მიღწევისაკენ ისწრაფვის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რადიკალიზაციაზე საუბრისას აუცილებელია, გაიმიჯნოს თავად რადიკალიზაცია, ძალადობრივი რადიკალიზაცია (ძალადობის ლეგიტიმაცია) და ძალადობის აქტი-

ბი (Alava et al. 2017). თუმცა, ეს სახელმძღვანელო რადიკალიზაციის პროცესზე მეტად ყურადღებას ძალადობრივ რადიკალიზაციასა და ძალადობის აქტების გაშუქებას უთმობს. ბორუმის განმარტებით, ძალადობრივ რადიკალიზაციასა და ტერორიზმში ჩართულობა, საუკეთესო შემთხვევაში, უნდა დავინახოთ როგორც აქტიური, დინამიკური ფსიქო-სოციალური პროცესი, რომელიც მინიმუმ სამ ეტაპს მოიცავს: ა) ჩართვის პროცესს; ბ) ჩართულობას - მონაწილეობა ცალსახად ტერორისტულ ქმედებებში; და გ) გამოთიშვას (რაც, შესაძლოა, სულაც არ გულისხმობდეს დერადიკალიზაციას).

ექსტრემიზმი

რადიკალიზაციის გააზრების ისტორია ახლო კავშირშია ძალადობრივი ექსტრემიზმის (VE) გაგებასთან. რადიკალიზაციის მსგავსად, ძალადობრივი ექსტრემიზმის შესახებ ლიტერატურის კონცენტრაციაც 2004-2005 წლებიდან ხდება (ბარქაია და ჯანელიძე, 2018). აღნიშნული ტერმინების ხშირი გამოყენება ტერორიზმთან გამკლავებაში ალტერნატიული გზების ძიების გააქტიურების პარალელურად ხდება, რაც 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ „ტერორიზმის წინააღმდეგ ომის“ გამოცხადების ერთგვარი ლოგიკური შედეგი იყო. შესაბამისად, ძალადობრივი ექსტრემიზმის შესახებ არსებული ლიტერატურა, რადიკალიზაციის მსგავსად, ძირითადად, მასთან გამკლავების კონტექსტშია დანერგილი.

თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, იგი არ შეიძლება გაუთანაბრდეს რადიკალიზაციის ცნებას. სულაც არაა აუცილებელი, რომ რადიკალიზებული ადამიანი ძალადობრივ ექსტრემიზმში ჩაერთოს, ხოლო ძალადობრივ ექსტრემიზმში ჩართული ადამიანები შესაძლოა, არ იყვნენ იდეოლოგიურად რადიკალიზებულები. რენდი ბორუმის სიტყვებით რომ ვთქვათ, „რადიკალიზება ექსტრემისტული რწმენების განვითარებით ან შეთავსებით, რომელიც ამართლებს ძალადობას, შესაძლოა, ერთ-ერთი გზა იყოს ტერორიზმში ჩასართავად, მაგრამ ის ნამდვილად არ არის ერთადერთი“ (2011: 38).

როგორც საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრის გამოცემულ პოლიტიკის დოკუმენტში ვკითხულობთ, რადიკალიზაციის მსგავსად არც ძალადობრივი ექსტრემიზმის ერთიანი, შეთანხმებული განსაზღვრება არსებობს აკადემიურ ლიტერატურასა თუ ოფიციალურ დოკუმენტებში (გოგუაძე 2018). გაეროს „ძალადობრივი ექსტრემიზმის სამოქმედო გეგმაზე“ დაყრდნობით, დოკუმენტი აღნიშნავს, რომ „ძალადობრივი ექსტრემიზმი წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს ორგანიზაციის [გაეროს - ლ.ქ.] პრინციპებისა და მიზნებისათვის, ის აფერხებს მსოფლიოში მშვიდობასა და უსაფრთხოებას, ადამიანის უფლებებსა და მდგრად განვითარებას. აღნიშნული ფენომენი არ არის ახალი, არც ერთი კონკრეტული რეგიონის, კულტურის ან სისტემის მახასიათებელი ნიშანი.“

Partnership for Conflict, Crime and Security Research-ის (PaCCS) მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში, რომელიც ძალადობრივ ექსტრემიზმთან მედია და კომუნიკაციური სტრატეგიებით გამკლავებას შეეხება, აღნიშნული ფენომენი მჭიდროდაა დაკავშირებული ე.წ. იდენტობაზე დაფუძნებულ ძალადობასთან (IBV) (Ferguson 2016). ამგვარი ძალადობა დოკუმენტში განმარტებული როგორც „ძალადობა, ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მისამართით (დამნაშავის მიერ აღქმული) მათი იდენტობის ნიშნით, ერთეული სიძულვილით მოტივირებული დანაშაულიდან მოყოლებული, გენოციდამდე“. ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებით კი PaCCS აღნიშნავს, რომ ეს არის ქმედებების, რწმენა-წარმოდგენების, სტრატეგიების ერთობლიობა, რომელიც მხარს უჭერს ან იყენებს ძალადობას პოლიტიკური, იდეოლოგიური ან იდენტობის სხვა ნიშნით.

შესაბამისად, ძალადობრივი ექსტრემიზმი არ შეიძლება, რომ მხოლოდ ისლამისტური ტერორიზმის პრიზმაში დავინახოთ.

მემარჯვენე ჯგუფები

ძალადობრივ ექსტრემიზმზე საუბარი ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე სულ უფრო გახშირდა რადიკალური მემარჯვენე ჯგუფების (far right) კონტექსტში. ზოგიერთი მკვლევარი ტერმინ „მემარჯვენე

ტერორიზმსაც“ (right-wing terrorism) იყენებს (Koehler, 2015). ამგვარი ძალადობრივი ექსტრემიზმის გამოვლინებებისადმი მედიისა და საერთაშორისო ყურადღება ნაკლებად არის ხოლმე კონცენტრირებული და ისინი ერთეულ შემთხვევებად განიხილება.

2011 წელს, გერმანიაში, აღმოაჩინეს დაჯგუფება „ნაციონალ-სოციალისტური ანდერგრაუნდი“, რომლის წევრებმაც 10-მდე ადამიანი მოკლეს და 2 აფეთქება განახორციელეს 14 წლის განმავლობაში, თუმცა ისინი შეუმჩნეველნი დარჩნენ მთელი ამ ხნის მანძილზე. იმავე წელს, ნორვეგიაში კუნძულ უტოიაზე ანდრეს ბრეივიკმა 77 ადამიანი მოკლა. 2012 წელს, მაიკლ პეიჯმა ვისკონსინის სიკხურ ტაძარში 6 ადამიანი მოკლა, 2015 წელს კი დილან რუფმა 9 შავკანიანი მორწმუნე მოკლა ჩარლსტონის აფრიკულ მეთოდისტურ საეპისკოპოსო ეკლესიაში. არაერთი მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა დასავლეთ, აღმოსავლეთ ევროპასა თუ რუსეთში ბოლო ათწლეულების მანძილზე. მიუხედავად ამისა, მემარჯვენე იდეოლოგიით მოტივირებულ ძალადობრივ ექსტრემიზმს კვლავაც ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება ხოლმე საჯარო დებატში მაგალითად, ისლამისტურ ტერორიზმთან შედარებით.

თუმცა, ამგვარი ექსტრემიზმისადმი საჯარო დებატის კონცენტრირებას ართულებს მასში ჩართული ჯგუფების სიჭრელე და მრავალფეროვნება. როგორც კალიასი, ზეიგერი და ოზთურქი (2018) აღნიშნავენ ტერმინი „far-right“ საკმაოდ რთულად მოსახელთებელია, რამდენადაც იგი იდეოლოგიურად, დისკურსულად და ქცევის მიხედვით არაერთგვაროვან ჯგუფებს აერთიანებს. ის შეიძლება მოიცავდეს როგორც არაძალადობრივ, ისე ნაკლებად ძალადობრივ და განსაკუთრებულად ძალადობრივ მემარჯვენე ჯგუფებს. ასე რომ, ტერმინი „რადიკალური მემარჯვენე“ უფრო ხშირად ქოლგა ტერმინად გამოიყენება და აერთიანებს ინდივიდებსა თუ ჯგუფებს, რომლებიც ულტრანაციონალისტურ, ანტისაიმიგრაციო, ანტიგენდერული, ანტიმულტიკულტურალისტურ და ანტიგლობალისტურ იდენტობის პოლიტიკას უჭერენ მხარს. ასეთი ჯგუფები კი შესაძლოა, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოშიც შეიძლება ვიხილოთ, ტრადიციულ, ინსტიტუციონალიზებულ რელიგიებშიც და ფეხბურთის სტადიონებზეც.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მეორე ნაწილი რადიკალიზებისა და ექსტრემიზმის მხოლოდ და მხოლოდ იმ ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც საკუთარ თავში მოიცავს ინდივიდებსა თუ ჯგუფებზე ძალადობის ნიშნებს. ეს ძალადობრივი მეთოდები კი გარკვეული იდეოლოგიური, პოლიტიკური თუ იდენტობის ნიშნით ე.წ. „სხვებზე“ ზეგავლენის მოხდენას, რეპრესირებას და საჯარო სივრციდან მათ განდევნას ისახავს მიზნად.

ეს სახელმძღვანელო ვერ ჩაუღრმავდება რადიკალური მემარჯვენე ჯგუფების წარმოშობის, გააქტიურებისა და მენისტრიმულ პოლიტიკაში მათი აღზევების ცალკეულ შემთხვევებს. ისევე, როგორც აქ დეტალურად ვერ განვიხილავთ ძალადობრივ რადიკალიზმსა და ექსტრემიზმში ადამიანების ჩართვის მოტივაციებისა თუ მიზეზების შესახებ არსებულ თეორიულ ლიტერატურას. ნაცვლად ამისა, მომდევნო ქვეთავებში სახელმძღვანელო აქცენტს აკეთებს მედიისა და ტერორიზმის, ისევე როგორც მედიისა და რადიკალური მემარჯვენე ჯგუფების ურთიერთმიმართებაზე, რომლის შემდეგაც, მოკლედ მიმოვიხილავთ საქართველოში არსებულ მდგომარეობას და სახელმწიფოს გაცხადებულ ხედვას აღნიშნულ თემაზე.

1.1 მედია და ტერორიზმი

ზოგადად, მედიასა და ტერორიზმს შორის ურთიერთობა კარგად არის შესწავლილი აკადემიურ ლიტერატურაში გასული რამდენიმე ათწლეულის მანძილზე, თუმცა, მიდგომა არაერთგვაროვანია. როგორც მკვლევრების ნაწილი აღნიშნავს, ამ ორს შორის ერთგვარი „სიმბიოზური“ ურთიერთობაა ჩამოყალიბებული (Spencer, 2012). ერთი მხრივ, ტერორიზმს სჭირდება მედია, რათა გაავრცელოს ინფორმაცია. მეორე მხრივ, მედიას ყოველთვის იზიდავდა ტრაგიკული ან საშიში ისტორიები და ასეთი ამბები ყოველთვის მოხვდებიან საინფორმაციო გამოშვებებისა თუ ვებგვერდების სათავეში (Archetti; 2013). მკვლევართა მეორე ნაწილი კი ყურადღებას ამახვილებს მედიისა და ხელისუფლების

ურთიერთობებზე ტერორიზმის კონტექსტში და მიიჩნევს, რომ მედია ტერორისტებზე უფრო მეტად ხელისუფლებებთანაა სრულ ჰარმონიაში, რამდენადაც უაპელაციოდ ავრცელებს შიშის ატმოსფეროსა და საგანგებო მდგომარეობის განცდას ფართო საზოგადოებაში, რაც ხშირად მთავრობათა ინტერესებში შედის (Archetti, 2013; Altheide, 2007). ზოგიერთი კი მიიჩნევს, რომ მთელ ამ პროცესში მედია არც ტერორისტული აქტების ჩამდენების და არც მთავრობების ინტერესებს არ ატარებენ, მათ საკუთარი ინტერესები და საკმარისი ძალაუფლება აქვთ სასურველი ალტერნატიული რეალობის შესაქმნელად (ibid).

ამის მიზეზი, ალბათ, თავად ტერორიზმის განმარტებაში უნდა ვეძებოთ. რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის მსგავსად, ვერც ტერორიზმის შემთხვევაში შეხვედებით ერთიან, საყოველთაოდ შეთანხმებულ განმარტებას. ბიერნაცკი თავის მიმოხილვაში *Media and Terrorism* რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს გამოჰყოფს ტერორიზმის განმარტებაზე საუბრისას (2002). იგი იშველიებს როგორც სოციალური მეცნიერებების მიდგომებს, რომლის მიხედვითაც ტერორიზმი სოციალურად კონსტრუირებული ტერმინია, ამიტომ მას როგორც ღირებულებრივად ნეიტრალურ ტერმინად ვერ მივიჩნევთ; ასევე არასრულია ოფიციალური ინსტიტუციონალური განმარტებები, მაგალითად, გაეროს გენერალური ასამბლეის მიხედვით ტერორიზმი ეს არის: „კრიმინალური აქტები გამიზნული ან განკუთვნილია პოლიტიკური მიზნებით ტერორის, შიშის დასანერგად ფართო საზოგადოებაში, ადამიანთა ჯგუფებში ან კონკრეტულ ინდივიდებში... მიუხედავად იმისა თუ რა პოლიტიკური, ფილოსოფიური, იდეოლოგიური, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით იქნება ის გამართლებული“ (ციტირებული Koh 2002: 148).

თუმცა, იქვე აღნიშნულია, რომ ასეთი განმარტება გამოტოვებს ისტორიულად ყველაზე ცნობილი ტიპის ტერორის, სახელმწიფოსგან სანქცირებული ტერორის შინაარსს (მაგ. საფრანგეთის რევოლუციის დროს). ამიტომაც, მაგალითად, პალტცი და ვინსონი განასხვავებენ სახელმწიფო ტერორიზმს, რომელიც მიმართულია საკუთარი ხალხის მიმართ, სახელმწიფოსგან მხარდაჭერილ ტერორიზმს, რომელიც სხვა სახელმწიფოს ხალხებზეა მიმართული და ამბოხებულთა (insurgent)

ტერორიზმს, რომელიც ხორციელდება არასახელმწიფოებრივი სუბიექტების მიერ. ის, რაც ყველა ამ ტიპის ტერორიზმს ახასიათებს არის შიშის, ტერორის რაც შეიძლება ფართოდ გავრცელება.

სწორედ შიშისა და ტერორის ფაქტორი არის გადამწყვეტი მედიისა და ტერორიზმის ურთიერთმიმართებებზე საუბრისას. ზემოთ ნახსენებ მკვლევართა სამი მიდგომიდან, საუკეთესო აღწერად გამოდგება დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, მარგარეტ ტეტჩერის ცნობილი ფრაზა, რომ „მედია არის უანგზადი ტერორიზმისათვის“ (Marthoz, 2017). ეს მიდგომა სულაც არ არის ახალი. არაერთი მეცნიერი ტერორიზმს განიხილავს როგორც კომუნიკაციას, რასაც უნდა უყურონ, მოუსმინონ ან წაიკითხონ ადამიანებმა საიმისოდ, რომ ის შედეგს როგორც აქტი (Archetti, 2013). ალექს შმიდმა, მაგალითად, არასახელმწიფოებრივი ტერორიზმის აღზევებას როტაციული პრესისა და დენტის გამოგონებასთან აკავშირებს, რაპოპორტის (1984) თქმით კი, ტერორიზმი მასმედიის გამოგონებამდეც არსებობდა და ის ინფორმაციის გავრცელების ალტერნატიულ საშუალებებს, მაგალითად, ჭორებს იყენებდა საამისოდ. ამგვარად, მკვლევრები ხაზს უსვამენ, რომ ტერორისტული აქტები მედიის ყურადღების გარეშე დაკარგავენ ტერორიზმის როგორც საკომუნიკაციო სტრატეგიის ფუნდამენტურ კომპონენტს და ისინი საჯარო ყურადღების გარეშე მხოლოდ უშუალოდ აქტის მსხვერპლებს მისწვდებათ (Spencer, 2012).

თუმცა, მედიის როლი ტერორიზმთან მიმართებაში ცალმხრივი არ არის. მაგალითად ალ-ქაიდას ერთ-ერთი ლიდერი აიმან ალ-ზავაჰირი, ოსამა ბინ ლადენის სიკვდილის შემდეგ აღნიშნავდა, რომ იმის ნახევარზე მეტი, რასაც აშშ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას უწოდებს, „მედია ბრძოლის ველზე ხდება, ამიტომაც ჩვენ ვართ ჩართულები მედია ბრძოლაში [მუსლიმთა] გულისა და გონების მოსაგებად“ (ციტირებული Archetti, 2013, 3). ეს ციტატა, ერთი მხრივ, მიუთითებს ტერორისტული ორგანიზაციების მხრიდან მედიის მნიშვნელობის აღიარებაზე. მეორე მხრივ, იგი ხაზს უსვამს, რომ ამ ბრძოლაში, რომელიც მედიის მეშვეობით მიმდინარეობს, სახელმწიფოებიც არიან ჩაბმულები.

მაგალითად, ალტეიდი აღნიშნავს, რომ მასმედიამ ტერორიზმის პოპულარიზაციას შეუწყო ხელი შიშსა და გაურკვეველ მომავალზე

განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით, რაც გამონვეული იყო 11 სექტემბრის შემდეგ ჯორჯ ბუშის მიერ „ტერორიზმის წინააღმდეგ ომის“ გამოცხადების პოლიტიკის ზედმეტად უკრიტიკოდ მიღებით და არასათანადო გაშუქებით (2007). ამ ყოველივეს შედეგად, შიში ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილად იქცა, რაც დაეხმარა სახელმწიფოებს, რომ უსაფრთხოების დაცვის საბაზით ინსტიტუციური კონტროლის მექანიზმები გაეძლიერებინათ, მათ შორის რიგითი მოქალაქეების კონტროლიც. გარდა ამისა, მედიის მიერ საყოველთაო შიშის სულისკვეთების გაღვივებამ და ზოგჯერ უკონტექსტო თუ ზედაპირულმა გაშუქებამ გააჩინა სტერეოტიპული დამოკიდებულებები კონკრეტული აღმსარებლობის მქონე ადამიანების, სახელმწიფოებისა თუ რეგიონის მიმართ.

ამგვარი სტერეოტიპების გაღვივება, რომელიც ხშირად მედიის მეშვეობით ხდება ხოლმე, შეიძლება დავინახოთ ერთ-ერთ, თუმცა არა ერთადერთ მიზეზად, რამაც ხელი შეუწყო ამერიკასა და ევროპის ქვეყნებში ანტიმიგრაციული, ნეონაციისტური იდეოლოგიის მქონე ჯგუფების მზის სინათლეზე გამოსვლას, მათ გაძლიერებას ინსტიტუციურ პოლიტიკაში და ისეთი რადიკალური ჯგუფების გამოჩენას, რომელთა იდეოლოგიაც რელიგიური თუ ეთნიკური ნიშნით დასავლურ ქვეყნებში სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის დევნაზეა დაფუძნებული.

თუკი მედიისა და ტერორიზმის ურთიერთმიმართება შეიძლება, ერთი მხრივ, აღქმული იყოს როგორც „ჟანგბადი“ ტერორიზმისათვის; ხოლო მეორე მხრივ, მთავრობის უსაფრთხოების პოლიტიკის მასშტაბების გასაზრდელად შიშის და ტერორის ატმოსფეროს გამავრცელებელი, ნიშნავს თუ არა ეს, რომ მედიამ თავი უნდა შეიკავოს ტერორისტული აქტებისა და ზოგადად ტერორიზმის გაშუქებისაგან?

ბრიტანულ საზოგადოებაზე საუბრისას, ამაზე სპენსერს (2012) შემდეგი პასუხი აქვს: მედიის ნებისმიერი ტიპის ცენზურა, რათა მან აღარ გააშუქოს ტერორისტული აქტები, ორგვარ პრობლემას ქმნის - ნორმატიულსა და პრაქტიკულს. ავტორი აღნიშნავს, რომ გაშუქებისგან თავის შეკავებით ნორმატიულ დონეზე კითხვის ნიშნის ქვეშ დგება დემოკრატიული ქვეყნების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი - მედიის თავისუფლება. ან როგორც ბრიტანელი ექსპერტი ტერორიზმის საკითხებში

პოლ უილკინსონი იტყობდა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისთვის მედიის თავისუფლების მსხვერპლად შეწირვით გამოდის, რომ ტერორისტულ ჯგუფებს ვაძლევთ საშუალებას, დემოკრატიულ საზოგადოებას წაართვან ერთ-ერთი ფუნდამენტური სანყისი (Wilkinson 2000 ციტირებული Spenser 2012).

რაც შეეხება პრაქტიკულ პრობლემას, ამ ტიპის შეზღუდვის დაწესება სულ უფრო და უფრო კარგავს აზრს ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების გზების გამრავალფეროვნებასთან ერთად. დღესდღეობით აღარ ვცხოვრობთ იმ ეპოქაში, როდესაც მედიის კონტენტის საწარმოებლად აუცილებელია ინსტიტუციონალიზებული სხეულის ქონა, გადასახადების გადახდა და სახელმწიფო სისტემაში დარეგისტრირება. სოციალური მედიის თუ ციფრული პლატფორმების რაოდენობის ზრდა და გამრავალფეროვნება იძლევა იმის საშუალებას, რომ ერთი მხრივ, ინფორმაციის გავრცელების გზების დეცენტრალიზება მოხდეს; მეორე მხრივ კი ინფორმაციის მისაღებად მის პირველწყაროსა და მიმღებს მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკური მოწყობილობა ამორეზბდეთ ერთმანეთს და არა მათ შორის მდგარი გადაწყვეტილების მიმღები პირები.

1.2 მედია და რადიკალური მემარჯვენე ჯგუფები

მემარჯვენე ექსტრემიზმი და რადიკალური მემარჯვენე ჯგუფები დღესდღეობით მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ევროპასა და ამერიკაში აღზევებას განიცდიან. ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია Anti-Defamation League-ის 2019 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, ქვეყანაში მარტო 2018 წელს მათ 50-მდე ადამიანი მოკლეს, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 35%-ით მეტია. იმავე ანგარიშის მიხედვით, გასული ათწლეულის მანძილზე, აშშ-ში 3-ჯერ მეტი ადამიანია მოკლული მემარჯვენე ექსტრემისტული თავდასხმების შედეგად, ვიდრე იმ ტერორისტული აქტების, რომლებიც ჯიჰადისტებმა ჩაიდინეს (ADL, 2019).

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს, გერმანელი პოლიტიკური მეცნიერების პროფესორი კლაუს ვონ ბეიმე წუხდა, რომ რადიკალურ მემარჯვენე პოლიტიკურ ჯგუფებზე თითქმის არ არსებობდა კომპარატივისტული სამეცნიერო ლიტერატურა. დაახლოებით სამი ათწლეულის შემდეგ კი, შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი პოლიტიკური ორიენტაციის ჯგუფი არ სარგებლობს იმხელა აკადემიური ყურადღებით, როგორითაც რადიკალური მემარჯვენე ჯგუფები (Ellinas, 2010). თუმცა, ეს ყურადღება უფრო მეტად მიმართულია მემარჯვენე პოლიტიკური პარტიების მისამართით, რომლებიც გასული რამდენიმე ათწლეულის მანძილზე დასავლურ ქვეყნებში საგრძნობლად გაძლიერდნენ. მათ შეიძინეს ინსტიტუციური სხეული, ჩაერთნენ ქვეყნების აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში და მათი ნაწილი საკანონმდებლო ორგანოებსა და მთავრობების ფორმირებაშიც იღებს მონაწილეობას. მაგალითად, პოლონელი მკვლევარი ვლადიმერ სირაკოვსი, 2018 წლის დასაწყისში გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნავდა, რომ მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის 15 ქვეყნიდან შვიდში პოპულისტური მემარჯვენე ძალები მთავრობაში არიან, ორ ქვეყანაში - კოალიციურ მთავრობაში, სამ ქვეყანაში კი მთავარ ოპოზიციურ ძალას წარმოადგენენ (Sierakowski, 2018).

რა თქმა უნდა, ყველა პოპულისტური პოლიტიკური პარტია მემარჯვენე არ არის და ყველა პოპულისტური მემარჯვენე პარტია თავის მხრივ, შეიძლება არ იყოს რადიკალური. რადიკალურ მემარჯვენე ჯგუფებისა თუ მოძრაობების პროგრამები, რომელთაც, როგორც წესი, ახასიათებთ ეთნონაციონალისტურ ფესვებზე დაფუძნებული იდეოლოგიური პლატფორმა, რიდგრენის აღწერით, მიმართულია ერის გაძლიერებაზე მისი ჰომოგენურობისა გაზრდისა და ტრადიციულ ღირებულებებთან დაბრუნების გზით (Rydgren, 2018).

გარდა ამისა, ხშირად, მათ ქმედებებს პოპულისტური ხასიათი აქვს, რამდენადაც ისინი მიმართულია არსებული მმართველი და პრივილეგირებული კლასების (ისტებლიშმენტის) წინააღმდეგ. ამგვარად, ამ ჯგუფების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი ეთნონაციონალისტური ქსენოფობია და ანტიისტებლიშმენტური პოპულიზმია (ibid). ეს ყოველივე კი ხშირად ითარგმნება მიგრანტი ჯგუფების, ლიბერალუ-

რი შეხედულებებისა თუ გენდერული ემანსიპაციის მომხრე ჯგუფების წინააღმდეგ მოქმედებებში. ზოგ შემთხვევაში, ამ მოქმედებებს შესაძლოა მკვეთრად ძალადობრივი ხასიათიც ჰქონდეს. გარდა ამისა, ერთ-ერთი ნიშანი, რითაც ეს ჯგუფები შეიძლება ხასიათდებოდნენ, შესაძლოა, იყოს ზესახელმწიფოებრივი გაერთიანებების, მაგალითად, ევროკავშირის, ნატოს ან მულტინაციონალური კორპორაციების საწინააღმდეგო განწყობები.

კვლავაც მედიისა და რადიკალური მემარჯვენე ჯგუფების ურთიერთმიმართებებს რომ დავუბრუნდეთ, მეცნიერთა ნაწილი ყურადღებას ამახვილებს, მედიის როლზე მემარჯვენე პოპულისტური პოლიტიკური პარტიების აღზევებაში. მაგალითად, ანტონის ელინასი აღწერს მიდგომებს, როდესაც ამერიკულ მედიას დონალდ ტრამპის გადაჭარბებული დოზით გაშუქებაში სდებენ ბრალს, რამაც საბოლოოდ მისი პოპულარობა გაზარდა. ისევე, როგორც ჰოლანდიურ მედიას ადანაშაულებენ ხოლმე თავისუფლების პარტიის ლიდერის ხეერტ ვილდერსის გავლენიან პოლიტიკურ ფიგურად ჩამოყალიბებაში, ფრანგულ მედიას - ნაციონალური ფრონტის ლიდერის მარინ ლე პენისადმი, ბრიტანულ მედიას კი აკრიტიკებენ დიდი ბრიტანეთის დამოუკიდებლობის პარტიის (Ukip), ნაიჯელ ფარაჯისადმი ზედმეტად ლოიალურ დამოკიდებულებაში (Ellinas, 2018).

თუმცა ელინასი იქვე აღნიშნავს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად არის ისეთი კვლევები, რომლებიც მაგალითად, აღნიშნული პარტიების გაშუქებისას კონკრეტული კონტენტის გავლენას შეისწავლიდა ინდივიდუალურად ამომრჩეველთა ქცევაზე. უმეტესწილად, ასეთი კვლევები ე.წ. Agenda setting-ისა და Framing-ის თეორიების ჩარჩოშია ჩატარებული. აღნიშნული ჩარჩოები, ძირითადად, იმაზე კონცენტრირდებიან თუ როგორ ქმნიან რადიკალური პოპულისტური პოლიტიკური ჯგუფები დღის წესრიგს მედიისთვის, როგორ განსაზღვრავენ გასაშუქებელ თემებს და შემდეგ, მედია როგორ, რა კუთხით აშუქებს მათ.

განსაკუთრებით საინტერესოა მედიის როლი ე.წ. მარგინალური პოლიტიკური ჯგუფების გაშუქების ნაწილში. ეს ჯგუფები როგორც წესი, ხასიათდებიან ორგანიზაციული ინფრასტრუქტურისა და ფინანსური რესურსების ნაკლებობით, რათა საკუთარი მოსაზრებები მიიტა-

ნონ პოტენციურ მხარდამჭერებამდე თუ ფართო აუდიტორიებამდე. მედია მნიშვნელოვანი რესურსია ზოგადად პოლიტიკური აქტორებისთვის, მაგრამ ასეთი რადიკალური ჯგუფებისთვის, რომელთაც არ გააჩნიათ საკმარისი რესურსი რეკლამისათვის, მედია ორმაგად უფრო მნიშვნელოვანია. ამიტომ როგორც კი გადაწყვეტენ, რომ მინისქვეშეთიდან ამოვიდნენ, ისინი მედიის ყურადღების მიქცევას ნებისმიერ ფასად ცდილობენ.

ელინასი გამოჰყოფს სამ საკითხს, რაშიც მედიამ შეიძლება ითამაშოს გადამწყვეტი როლი ასეთი ჯგუფების გაძლიერებასა თუ დასუსტებაში. ესენია: **აღიარება, ბიძგის მიცემა და ლეგიტიმაცია** (2018). პირველ რიგში, მედიის გაშუქებამ მათ შესაძლოა შეუქმნას წარმოდგენა, რომ ისინი მნიშვნელოვანი აქტორები არიან საჯარო სივრცეში (Gamson and Wolfsfeld 1993). მათ მიმართ მედიის დათმობილმა ან გაზრდილმა ყურადღებამ შესაძლოა, ბიძგი მისცეს, რომ ერთი მხრივ, ისინი უფრო სერიოზული ფორმით ჩამოყალიბდნენ და მეორე მხრივ, რიგითმა ადამიანებმა აღმოაჩინონ და შეუერთდნენ მათ. მესამე საკითხი კი არის ლეგიტიმაციის საკითხი, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ალბათ პოსტ-ფაშისტურ ევროპაშია, სადაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ერთგვარი ტაბუ არსებობდა საჯარო პოლიტიკაში ფაშისტური ან ნეონაციისტური ჯგუფების ჩართვასთან დაკავშირებით. ამ ჯგუფების საჯარო სივრცეში ხშირი გამოჩენითა და ნორმალიზებით კი ეს ტაბუ ირღვევა და შესაბამისად, მსგავსი ჯგუფების არსებობა და ჩართულობა პოლიტიკაში უკვე კანონიერი ხდება.

თუმცა, სიცხადისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჯგუფების აღზევების ცალსახად მედიაზე გადაბრალევა არასრულ სურათს ქმნის. იმისათვის, რომ მედიამ გარკვეული როლი შეასრულოს ასეთი ჯგუფების გაძლიერება/დასუსტებაში, ზოგადი პოლიტიკური გარემო უნდა არსებობდეს საიმისოდ, რომ მსგავსმა ჯგუფებმა მედიის გამოყენება შეძლონ. ელინასის თქმით, მედიას, როგორც წესი, უფრო მეტი გავლენა აქვს ახალი ან მცირე ზომის მემარჯვენე რადიკალურ ჯგუფებზე, ვიდრე ძველ და საჯარო სივრცეში უკვე ფესვგადგმულ გაერთიანებებზე (2018).

გარდა ამისა, აღნიშნულ გავლენაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გაშუქების სიხშირე, არამედ გაშუქების ტიპიც. მემარჯვენე

რადიკალური ჯგუფების ნეგატიურმა გაშუქებამ და მათმა ასოცირებამ ძალადობასთან შესაძლოა, გადამწყვეტი როლიც კი ითამაშოს ამ ჯგუფების გაძლიერება-დასუსტებაზე და მათი ლიდერების გავლენიანობაზე. ამის მაგალითები არსებობს გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში. მაგალითად, 1980-იან წლებში Republikaner-ის საარჩევნო წარუმატებლობას დიდწილად ხელი შეუწყო ტაბლოიდური გამოცემა Build-ის მიერ ამ პოლიტიკური ჯგუფის ნაციზმთან დაკავშირებამ (Art 2007).

ახალი ტექნოლოგიები გარკვეულ როლს თამაშობს რადიკალური და ექსტრემისტული მემარჯვენე ჯგუფების ჩამოყალიბებაში. დღესდღეობით, მედიასთან მათი კავშირის შესწავლისას ყველაზე მათ აღზევებაში ხშირად სწორედ ონლაინ მედიისა და სოციალური მედიის როლზეა საუბარი. ციფრულმა მედიამ, ერთი მხრივ, ასეთ ჯგუფებს ორგანიზების უკეთესი, უფრო იაფი და იოლი საშუალებები გაუჩინა. მეორე მხრივ, მათი არსებობის ონლაინ სივრცეში თამამად და ღიად დაფიქსირებით ამ ჯგუფების ნორმალიზაციის პროცესი გაცილებით უფრო დაჩქარდა ფართო საზოგადოებაში. მომრავლდა ისეთი მედიასაშუალებებიც, რომლებიც ღიად უჭერენ მხარს მსგავსი ჯგუფების არსებობას ან კომერციული მიზნებიდან გამომდინარე უარს არ ამბობენ ისეთი მასალის განთავსებაზე, რომელიც იდენტობასთან დაკავშირებული, იდეოლოგიური თუ პოლიტიკური სიძულვილით არის გაჯერებული, რაც გარანტირებულად ბევრ მნახველს მიიზიდავს მათ ვებსაიტებზე.

1.3 ქართული კონტექსტი

2019 წლის 23 იანვარს საქართველოს მთავრობამ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგია დაამტკიცა. დოკუმენტი, რომელიც მოამზადა უწყებათაშორისმა მუდმივმოქმედმა კომისიამ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თავმჯდომარეობით (სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, 2019), ძირითადად, მხოლოდ ტერორიზმისა და ექსტრემიზმისგან მომავალ საფრთხეებზე საუბრობს. ტექსტი ხაზს უსვამს, რომ მართალია, საქა-

რთველო არ განეკუთვნება ტერორისტული თავდასხმების თვალსაზრისით მაღალი რისკის ქვეყანას, მაგრამ ჩრ. კავკასიაში, ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაში მიმდინარე პროცესებმა ქვეყანა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ტიპის გამონწვევის წინაშე დააყენა.

დოკუმენტის თანახმად, ბოლო წლებში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან ტერორისტულ ორგანიზაციებს შეუერთდნენ საქართველოს მოქალაქეები, ზოგიერთი მათგანი კი ამ ორგანიზაციების ლიდერიც კი გახდა.¹ იქვე ნათქვამია, რომ საქართველოში არსებული ზოგიერთი ჯგუფი შესაძლოა, იზიარებდეს კონკრეტული ტერორისტული ორგანიზაციის იდეოლოგიას, თუმცა დოკუმენტი არ აკონკრეტებს თუ რომელ ჯგუფზეა საუბარი. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიის დოკუმენტი უშვებს, რომ ტერორიზმსა და ექსტრემიზმში ჩართული ადამიანები შესაძლოა, განეკუთვნებოდნენ კონკრეტულ ეთნიკურ ან რელიგიურ ჯგუფებს, თუმცა, სახელმწიფო დაუშვებლად მიიჩნევს ტერორიზმის ან ექსტრემიზმის კონკრეტული რელიგიურ, ეთნიკურ ჯგუფთან ან ეროვნებასთან დაკავშირებას.

ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონი ტერორიზმს შემდეგნაირად განმარტავს:

ტერორიზმი - ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, მიმართული ფიზიკური ან იურიდიული პირების წინააღმდეგ, შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების, კომუნიკაციების და სხვა მატერიალური ობიექტების განადგურება-დაზიანება ან მათი განადგურება-დაზიანების მუქარა იარაღის, ასაფეთქებელი მასალების, ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური თუ სხვა, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერების გამოყენებით ან ადამიანის გატაცებითა თუ მძევლად აყვანით, რათა ხელისუფლება ანდა მისი რომელიმე ორგანო ან საერთაშორისო ორგანიზაცია იძულებული გახდეს, განახორციე-

1. ამ თემაზე ვრცლად იხ. საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრი, 2018, "რადიკალიზაციასა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მექანიზმების გაუმჯობესება საქართველოში," პოლიტიკის დოკუმენტი.

ლოს გარკვეული ქმედება ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედების განხორციელებისაგან, რომელიც ტერორისტების მართლსაწინააღმდეგო ინტერესებში შედის.

თუმცა ზემონახსენები კანონისაგან განსხვავებით, სტრატეგიის დოკუმენტი განმარტებას აკეთებს ექსტრემიზმთან და რადიკალიზაციასთან დაკავშირებითაც:

ექსტრემიზმი - იდეათა ერთობლიობა, იდეოლოგია, რომელიც არ აღიარებს ადამიანთა თანასწორობის პრინციპს, მხარს უჭერს სიძულვილს, შეუწყნარებლობას, ძალადობას, საფრთხეს უქმნის ქვეყნის დემოკრატიულ წყობას და კანონის უზენაესობას.

რადიკალიზაცია - პროცესი, როდესაც პირი საკუთარი მოსაზრებების გავრცელებისა და გარკვეული იდეოლოგიის მხარდაჭერისას შესაძლოა, გასცდეს კანონის ფარგლებს და ჩაერთოს ტერორისტულ ან/და ექსტრემისტულ საქმიანობაში. აღნიშნულ პროცესში იკვეთება პირის მზაობა, მისი მიერ მხარდაჭერილი იდეოლოგიის მიზნებისთვის დაეთანხმოს, ან/და საჭიროების შემთხვევაში, მიმართოს ძალადობრივ მეთოდებს.

როგორც საქართველოს რეფორმების ასოციაციის 2015 წელს გამოცემულ პოლიტიკის დოკუმენტში ვკითხულობთ, 2014 წლამდე „ისლამისტური ტერორიზმის საფრთხის წინაშე საქართველო არასოდეს დამდგარა თუ არ ჩავთვლით ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე ტერორისტულ საფრთხეებს“ (გოგუაძე & კაპანაძე, 2015, 3). გასული რამდენიმე წლის მანძილზე კი ტერორიზმის საკითხი ქართულ რეალობაში განსაკუთრებულად აქტუალური რამდენჯერმე გახდა. მათ შორის, 2017 წელს ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული ანტიტერორისტული ოპერაციის დროს, რომელიც 20 საათზე მეტხანს გაგრძელდა და რამდენიმე ადამიანის, მათ შორის სამართალდამცავის გარდაცვალებით დასრულდა. ასევე, 2015 და 2018 წლებში ქართულ მედია და ინტერნეტსივრცეში გამოჩენილი, სავარაუდოდ ISIS-ის წევრების მიერ ჩაწერილი ვიდეო მიმართვების დროს, სადაც ქართველთა მის-

ამართით მუქარის შემცველი ტექსტები ისმოდა. გოგუაძე და კაპანაძე ზემონახსენებ პოლიტიკის დოკუმენტში საუბრობენ იმ გამონწვევებზეც, რაც შესაძლოა საქართველოს შეექმნას კავკასიის რეგიონში ISIS-ის აქტიურობის შედეგად, კონკრეტულად კი საქართველოს მოქალაქეების რეკრუტირების გამო (2015).

გარდა ტერორიზმისა და ტერორიზმთან დაკავშირებული ექსტრემიზმისა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგიაში ნახსენებია „ზოგიერთი საზოგადოებრივი ჯგუფი თუ ორგანიზაცია“, რომელიც ქადაგებს სიძულვილს, ემხრობა ძალადობას და თავისი საქმიანობით ექსტრემისტულია (გვ 13). როგორც სტრატეგიის დოკუმენტშია აღნიშნული, სახელმწიფო გმობს და უპირისპირდება მსგავს იდეებს/იდეოლოგიებს და იგი არ დაუშვებს, რომ ეს იდეები რეალობაში განხორციელდეს. საინტერესოა, რომ მთელ დოკუმენტში მხოლოდ და მხოლოდ ეს ორი წინადადება გვხვდება აღნიშნული „ზოგიერთი საზოგადოებრივი ჯგუფისა თუ ორგანიზაციის“ შესახებ. დოკუმენტი არ აკონკრეტებს თუ რა ჯგუფებზეა საუბარი, რა იდეოლოგიის მატარებლები არიან ისინი და რა ტიპის ექსტრემისტულ საქმიანობას ახორციელებენ ისინი.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მიერ გამოცემული აღნიშნული დოკუმენტი ცდილობს არ დააკონკრეტოს ეს ჯგუფები, საქართველოს უახლესი ისტორიიდან გამომდინარე მათი იდენტიფიცირება რთული არ უნდა იყოს მიმდინარე მოვლენებში ჩართული ადამიანებისათვის. რადიკალურად განწყობილი ჯგუფების ისტორიის შესახებ, რომლებიც სხვადასხვა ფორმით ცდილობდნენ საქართველოში ამა თუ იმ ჯგუფის რეპრესირებასა და განდევნას, აკადემიური ცნობების მოძიება თითქმის შეუძლებელია და მხოლოდ და მხოლოდ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის ანგარიშისა თუ მედიაში გავრცელებული ცნობების მეშვეობით შეიძლება მისი რეკონსტრუირება.²

2. ამ სახელმძღვანელოში მაქსიმალურად შევეცდებით, რომ თავიდან ავირიდოთ კონკრეტული ჯგუფების სახელდება, ვინაიდან სახელმძღვანელოს მიზნებიდან გამომდინარე კონკრეტული ჯგუფებისა თუ მათი წევრების სახელებზე მეტად ის იდეოლოგიურ-პოლიტიკური მახასიათებლებია მნიშვნელოვანი, რომლითაც აღინერებიან ექსტრემისტული და რადიკალური მემარჯვენე ჯგუფები.

რადიკალიზებული, ანტიდემოკრატიული, მეტ-ნაკლებად ორგანიზებული ჯგუფების იდენტიფიცირება საქართველოს უახლოეს წარსულში ჯერ კიდევ გვიანი 1990-იანი წლებიდან შეიძლება, როდესაც საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან არსებულმა ერთმა ჯგუფმა სხვადასხვა რელიგიური გაერთიანების ორგანიზებული დევნა და მათთან ფიზიკური დაპირისპირება დაიწყო. მოგვიანებით აღნიშნული ჯგუფი და მისი ხელმძღვანელი სასულიერო პირი მართლმადიდებელმა ეკლესიამ განკვეთა და მათ დამოუკიდებლად განაგრძეს არსებობა. მოგვიანებით, ვარდების რევოლუციით ახალი ხელისუფლების ქვეყნის სათავეში მოსვლიდან რამდენიმე წელში, ჯგუფის მეთაური საპატიმროშიც აღმოჩნდა.

90-იანი წლების შუა პერიოდში ჩამოყალიბებული მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაკავშირებული მორიგი ჯგუფი მედიის ყურადღების ცენტრში განსაკუთრებით მას შემდეგ მოექცა, რაც ისინი ჯერ ერთ-ერთი ქართველი ავტორის ნიგნის პრეზენტაციის გასაპროტესტებლად მივიდნენ, შემდეგ კი, ჰელოუინის დღესასწაულის თავყრილობის დარბევას შეეცადნენ. ამ ამბებიდან მოყოლებული, აღნიშნული ჯგუფი სხვადასხვა სიხშირით ექცეოდა საჯარო ინტერესის სფეროში მათი აგრესიული გამოსვლებითა და კონკრეტულ (ლიბერალური, ფემინისტური, ქვიარ) ჯგუფებთან დაპირისპირებისას.

2012 წლიდან აგრესიული, ფუნდამენტალისტური, რელიგიური მოტივებით გაერთიანებული ჯგუფების ინტერესის ობიექტად იქცნენ ქვიარ ჯგუფები საქართველოში, რამაც პიკს 2013 წლის 17 მაისს (ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს) მიაღწია, როდესაც სხვადასხვა რელიგიური პირისა და რადიკალური ჯგუფის ორგანიზებით რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი დაუპირისპირდა და ფიზიკურად გაუსწორდა 50-მდე ლგბტ (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი) აქტივისტებსა და მათ მხარდამჭერებს.

ამის პარალელურად, ინტერნეტ-სივრცეში შეიქმნა და გამრავლდა ჯგუფები, რომლებიც ღიად ნეონაციისტურ და ფაშისტურ იდეოლოგიას ავრცელებენ. აღნიშნული ჯგუფები გამოირჩევიან მკვეთრად ანტი-ლიბერალური დღის წესრიგით, ქსენოფობიური ონლაინ კონტენტის

აქტიური წარმოებითა და გავრცელებით და ორგანიზებული ონლაინ შეტევებით სხვადასხვა ინდივიდებისა (მაგ. ქვიარ ადამიანების) თუ ლიბერალური მედიასაშუალებების სოციალური ქსელების გვერდებზე. აგრეთვე, ჩამოყალიბდა მკვეთრად გამოხატული ნაციონალისტური და ანტიმიგრაციული იდეოლოგიის მქონე ჯგუფები, რომლებმაც მოაწყვეს სხვადასხვა ქსენოფობიური მსვლელობა და რამდენჯერმე შეეცადნენ საქართველოში მცხოვრები არაბი, თურქი და ირანელი ბიზნესმენების კერძო საკუთრებებზე იერიშის მიტანას. გარდა ამისა, დაფიქსირდა რასობრივი ნიშნით საქართველოში მცხოვრებ შავკანიან ადამიანებზე ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებიც, რასაც რამდენიმე პირის დაკავება მოჰყვა.

უკანასკნელი შემთხვევა, როდესაც მემარჯვენე და ანტილიბერალური დღის წესრიგის მქონე ჯგუფები საჯარო სივრცეში საკუთარი ძალის დემონსტრირებას შეეცადნენ, 2018 წლის მაისი იყო. პოლიციის მიერ რამდენიმე ლამის კლუბის დარბევის შემდეგ ქუჩაში დაწყებულ პროტესტს, რომელიც პოლიციის რეპრესიულ ქმედებებსა და მკაცრი ნარკოპოლიტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული, ნაციონალისტური და ღიად ფაშისტური იდეოლოგიის გაერთიანებები დაუპირისპირდნენ. სამართალდამცავებმა შეძლეს დემონსტრანტებსა და კონტრდემონსტრანტებს შორის დაპირისპირების განმუხტვა, თუმცა, ამ ჯგუფების საჯარო სივრცეში დაფიქსირების თვალსაზრისით, ეს შემთხვევა ყველა მანამდე არსებული ძალის დემონსტრაციისგან განსხვავდებოდა მასშტაბით. მოგვიანებით, ამ ჯგუფებიდან ერთ-ერთის ხელმძღვანელი პოლიციამ იარაღის უკანონო შექენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავა (Tabula, 2018).

2018 წლის მინურულს კი ცნობილი გახდა, რომ თბილისში, ერთ-ერთ ბართან, მოკლეს 25 წლის ვიტალი საფაროვი. თვითმხილველთა მონათხრობიდან, მედიაში გავრცელდა ცნობა, რომ საფაროვს მკვლელობაში ბრალდებულები რუსულ ენაზე საუბრის გამო დაუპირისპირდნენ. მოგვიანებით გავრცელდა ცნობებიც, რომ ბრალდებულები ნეონაციონალისტური ჯგუფის წევრები იყვნენ. საბოლოოდ კი ცნობილი გახდა, რომ საფაროვის მკვლელობაში ბრალდებულებს ბრალი დაუმიძმდათ - საქმე გადაკვალიფიცირდა რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკუ-

რი შეუწყნარებლობის გამო განზრახ მკვლელობის ჩადენის მუხლით (Netgazeti, 2018).

ზემოთ მოყვანილი მოკლე მიმოხილვა შორს არის ამბების სრული რეკონსტრუქციიდან, თუმცა, მემარჯვენე რადიკალიზებული ჯგუფების აღზევება და გააქტიურება სახეზეა. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ქართველ რეპორტიორებს უფრო და უფრო ხშირად მოუწევთ მათთან დაკავშირებული სხვადასხვა თემის გაშუქება. ამ სახელმძღვანელოს მეორე ნაწილი კი სწორედ მემარჯვენე რადიკალური ჯგუფების, ისევე როგორც ტერორისტული და ექსტრემისტული ჯგუფების გაშუქებას, ამ თემებზე მუშაობისას წამოჭრილ სავარაუდო ეთიკურ წინააღმდეგობებსა და სირთულეებს შეეხება.

2. მედია, ტერორიზმი და ჯგუფების გაშუქება

ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, მარგარეტ ტეტჩერის მტკიცება, რომლითაც ის მედიას ბრალს სდებს ტერორიზმთან ნებსით თუ უნებლიედ მოკავშირეობაში, ერთგვარ მანტრად იქცა ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებულ ჯგუფებსა და მასმედიაზე საუბრისას. თუმცა, ტეტჩერის მოსაზრებას, რომ საჯაროობა (რომლის მიმწოდებლადაც მედია იგულისხმება) „ტერორიზმისთვის ჟანგბადია“, არაერთი მონინაალმდევე გამოუჩნდა როგორც აკადემიურ, ისე ჟურნალისტურ წრეებში. ესპანელი კომუნიკაციების თეორეტიკოსი მიკელ როდრიგო, ამ მიდგომის ზედაპირულობას იმით უსვამს ხაზს, რომ მართალია, ზოგიერთი ტერორისტული აქტი საჯაროობის განზრახვით არის ჩადენილი, მაგრამ ტერორისტთა ნაწილს სულაც არ აქვს ეს განზრახვა, არაერთი ტერორისტული აქტი კი, საერთოდაც საიდუმლოდ არის ჩადენილი (Biernatzki, 2002). უოტერგეიტისა და პენტაგონის ჩანაწერების დროს Washington Post-ის რედაქტორმა, კეტრინ გრაჰამმა კი თქვა, რომ „საჯაროობა შესაძლოა იყოს ჟანგბადი ტერორისტებისათვის, მაგრამ ახალი ამბები არის მაცოცხლებელი სისხლი თავისუფლებისათვის“ (Marthoz, 2017).

ამდენად, უპირველეს ყოვლისა, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ძალადობრივი ჯგუფების გაშუქების თავიდან არიდება პრობლემას სულაც არ მოაგვარებს. შეკითხვა, უნდა გავაშუქოთ თუ არა ტერორისტები ან ნეონაცისტური ჯგუფები, იმთავითვე არასწორი დილემის წინაშე აყენებს ჟურნალისტს. სინამდვილეში კითხვა, რომელსაც ჟურნალისტმა უნდა უპასუხოს ყოველი მომდევნო დავალების მიღებისას, შემდეგია: როგორ უნდა გავაშუქოთ ტერორიზმი ან ნეონაცისტური ჯგუფები? ასეთი შეკითხვის საკუთარი თავისთვის დასმის და მასზე ფიქრის ფუფუნება აქტიურ ჟურნალისტიკაში დასაქმებულ ადამიანებს შესაძლოა ხშირად არ ჰქონდეთ, თუკი გავითვალისწინებთ ინფორმაციული ნაკადების მოზღვავებას, რომლის პირობებში მუშაობაც უნევთ რეპორტიორებს.

ამ სახელმძღვანელოს უმთავრესი მიზანიც სწორედ ის გახლავთ, რომ ჟურნალისტებს გაუმარტივოს გადაწყვეტილებების მიღება, როდესაც მორიგი ტერორისტული აქტის ან სიძულვილით მოტივირებული, რასისტული ან ნეონაციისტური ჯგუფის ქმედების გაშუქება მოუხდებათ.

შემდგომი ქვეთავები, სხვადასხვა ორგანიზაციისა თუ ინსტიტუციის რეკომენდაციებსა და ეთიკურ ნორმებზე დაყრდნობით შეეცდება, მოგანოდოთ სათანადო ინფორმაცია ძალადობრივი ექსტრემიზმის გაშუქებისას ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის: კონტექსტის მნიშვნელობასა და ნორმალიზების თუ რომანტიზების საფრთხეებზე, სტერეოტიპებზე, სენსაციური გაშუქებისგან გამონვეულ ზიანზე, პირდაპირი ჩართებისას მოსალოდნელ გართულებებზე, ამბის ვიზუალურ მხარეზე, ტერმინოლოგიურ სირთულეებსა და სოციალური მედიის პირობებში მსგავსი ამბების გაშუქებისას წარმოშობილ, შედარებით ახალ გამონვევებზე. თითოეული ქვეთავის ქვეშ მოცემული იქნება ადგილობრივი და საერთაშორისო მედიიდან ტერორიზმისა და ნეონაციისტური ჯგუფების გაშუქების შემთხვევათა აღწერა და სათანადო შეკითხვები, რომელთა გააზრებაც მომავალში გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარებათ.

2.1 გაშუქების კუთხე და კონტექსტი - ნორმალიზების საფრთხე

სიძულვილით მოტივირებული და ძალადობრივი ჯგუფების, მათი ქმედებებისა თუ მათგან გამონვეული სხვადასხვა ტიპის საზოგადოებრივი ზიანის გაშუქებისას, შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაციის მომხმარებლებისათვის კონტექსტის მიწოდებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. UNESCO-ს ეგიდით გამოცემული ცნობარი ჟურნალისტებისათვის „ტერორიზმი და მედია“ სხვადასხვა ასპექტთან, მათ შორის ეთიკური ნორმების, კანონის, ადამიანის უფლებების დაცვასა და დაბალანსებული ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად, ტერორიზმთან დაკავშირებული

საკითხების გაშუქებისას, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამბის კონტექსტში ჩასმას (Marthoz, 2017).

ცნობარი ძირითად აქცენტს აკეთებს ტერორიზმთან დაკავშირებული ახალი ამბების ე.წ. Framing-ზე ანუ რა კუთხით გააშუქებს ჟურნალისტი ამბავს. სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, მედიის კვლევებში მასობრივი კომუნიკაციის ე.წ. Framing-ის თეორიით ახსნა ფართოდ არის გავრცელებული. მკვლევრები კუთხეს ანუ Frame-ს განმარტავენ როგორც „ინტერპრეტაციულ სტრუქტურებს, რომლებსაც ჟურნალისტი იყენებენ, რათა კონკრეტული შემთხვევები უფრო ფართო კონტექსტში ჩასვან“ (Norris, Kern and Just 2003: 10). სწორედ აღნიშნული კუთხეების გამოყენება განსაზღვრავს გაშუქებული ამბების მნიშვნელობას. რაზე გაამახვილებს ჟურნალისტი ან რედაქტორი ყურადღებას ამბის გადმოცემისას, შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობის იყოს, თუ როგორ აღიქვამს აუდიტორია ტერორიზმის ან ნეონაციისტური ძალადობრივი ჯგუფების შესახებ გადაცემულ ამბებს.

ერთი და იმავე ამბის სხვადასხვა კუთხით გაშუქებას შესაძლოა სხვადასხვა შედეგი მოჰყვეს და განსხვავებულად აისახოს მოსახლეობასა თუ პოლიტიკურ წრეებზე. მაგალითად, ჟურნალისტის არჩევანმა, ტერორისტული აქტის გაშუქებისას განსაკუთრებით გაამახვილოს ყურადღება ძალადობრივი აქტის ჩამდენის ეთნიკურ, რელიგიურ ან რასობრივ კუთვნილებაზე და სწორედ ამ კუთხით ეძებოს მომხდარი ამბის მიზეზები, შეიძლება ქვეყანაში ამავე ეთნიკური, რელიგიური ან რასობრივი ჯგუფის სხვა წარმომადგენლებს შეუქმნას საფრთხე. ანდა, მედიის წარმომადგენლების გადანყვეტილებამ, ყურადღება გაამახვილონ სხვადასხვა ჯგუფის მშვიდობიანი თანაცხოვრების საჭიროებასა და ამის მიღწევის სხვადასხვა გზაზე შესაძლოა, თავიდან აგვარიდოს საზოგადოების გარკვეული სეგმენტის სტერეოტიპული აღქმა და შეცვალოს ის დაპირისპირებული გარემო, რომლის მიღწევასაც ძალადობრივი აქტის ჩამდენი ცდილობდა.

ახალი ამბის კუთხე, როგორც წესი, განისაზღვრება იმით, გავაშუქებთ თუ არა კონკრეტულ სუბიექტებს, მათ იერარქიას, მათ პოზიციას; აგრეთვე, ვინ იქნება ჩვენი რესპონდენტი, რა ტიპის გამოსახ-

ულელებს, სიტყვებს ან ეპითეტებს გამოვიყენებთ მუშაობისას (ამაზე დეტალურად 2.6-2.7 ქვეთავებში ვისაუბრებთ).

ჟურნალისტიებმა ყურადღება უნდა დაუთმონ ამბის ფართო კონტექსტით წარმოჩენას, რათა ხელი შეუწყონ საზოგადოებაში პოზიტიური წარმოდგენების შექმნას იმ ჯგუფების შესახებ, რომლებსაც რადიკალიზებული და ძალადობრივი ჯგუფები აქცევენ თავიანთ სამიზნეებად ან რომელ ჯგუფებსაც ისინი თავად მიეკუთვნებიან.

უმცირესობათა ჯგუფების გაშუქებამ შესაძლოა, ნეგატიური გავლენა მოახდინოს რადიკალიზაციაზე თუკი გამოყენებული იქნება:

- » *სტერეოტიპული კუთხეები* - მაგალითად, კავშირის გაბმა ვინმეს ნეგატიურ ქცევას, პროვოკაციულ ქმედებასა და ვინმეს კულტურულ თუ რელიგიურ იდენტობას შორის მაშინ, როდესაც ამ დეტალებს მომხდარ ამბავთან კავშირი არ აქვს;
- » *ეპიზოდური კუთხეები* - როდესაც ამბის ჩასმა არ ხდება უფრო ფართო კონტექსტში.

უმცირესობათა ჯგუფების გაშუქებამ შესაძლოა, პოზიტიური გავლენა მოახდინოს რადიკალიზაციაზე თუკი გამოყენებული იქნება კუთხე, რომელიც:

- » აქცენტს გააკეთებს ამა თუ იმ რისკ-ფაქტორების უფრო ზოგად მახასიათებლებზე;
- » აჩვენებს უფრო დიდ სურათს. მაგალითად, გამოიყენებს სტატისტიკას, ექსპერტთა ანალიზს და სხვა დამატებით ინფორმაციას.

სწორედ ეპიზოდური კუთხის გამოყენებამ და უფრო ფართო სურათის ჩვენების თავიდან არიდებამ შეიძლება მიგვიყვანოს ძალადობრივი ქმედებების **ნორმალიზებამდე** - ერთ-ერთ უმთავრეს ჟურნალისტურ შეცდომამდე ტერორიზმთან დაკავშირებული თუ ნეონაციისტური ჯგუფების ქმედებების გაშუქებისას. ინფორმაციის მიღების წყაროების გამრავალფეროვნებამ, სოციალური მედიის საყოველთაოობამ და მკითხველთა/მაყურებელთა ყურადღების მისაქცევად გაზრდილმა კონკურენციამ შეცვალა ახალ ამბებზე მუშაობის რუტინა თუ ახალი ამბების სტრუქტურა. ხშირად, ჟურნალისტები ამბებს მოკლედ, ყოველგვარი კონტექსტისა და დამატებითი ინფორმაციის გარეშე აშუქებენ.

ამან კი შექმნა საფრთხე, რომ მშრალად, ფრაგმენტულად გაშუქებული მოვლენები ინფორმაციის მომხმარებელთა ცნობიერებაში დაილექება როგორც უბრალოდ მორიგი ძალადობა, რომელიც ხშირი განმეორებით ჩვენს ცნობიერებაში ნორმალიზდება.

„ასეთ ამბავზე წერის სირთულე გახლავთ ის, რომ მკითხველს სრული სურათი უნდა შეექმნას მხოლოდ ამ ერთი ამბის ნაკითხვისას, ანუ როგორც მკითხველმა, თუკი ბევრი არაფერი ვიცი ნეონაციისტების შესახებ, მხოლოდ ამ ერთი ამბიდან უნდა მივიღო კონტექსტი, რათა გავიგო ყველაფერი, რაც მჭირდება, ვიცოდე მათ შესახებ,“ - აღნიშნავს ამერიკელი მედიამკვლევარი, ამერიკული პრესის ინსტიტუტის აღმასრულებელ დირექტორი და არაერთი ცნობილი სახელმძღვანელოს ავტორი ტომ როზენსტილი გამოცემა Vox-თან ინტერვიუში (Turner, 2017).

აქვე, შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს თემაზე გამოქვეყნებული მასალის მოცულობამ. სტატია შესაძლოა, ვრცელი იყოს, მაგრამ იგი არ აჩვენებდეს კონტექსტს ან დაწერილი იყოს ისეთი კუთხით, რომ იგი პრობლემის ამომწურავად გაგების საშუალებას არ იძლეოდეს.

შემთხვევის აღწერა

The New Your Times - A Voice of Hate in America's Heartland

25 ნოემბერი, 2017 წელი

ტომ როზენსტილის ინტერვიუ სწორედ მაშინ გამოქვეყნდა, როდესაც საერთაშორისოდ აღიარებულმა გამოცემა *The New Your Times*-მა გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით “ამერიკის შუაგულში, ნაციისტების მხარდამჭერი მეზობლად.” მოგვიანებით გაზეთმა მიიღო შესწორების გადაწყვეტილება და ტექსტი შემდგენიარად დაასათაურა: „სიძულვილის ხმა ამერიკის შუაგულში“. სტატია ოკაიოს შტატში მცხოვრები რიგითი ამერიკელი ნაციისტის, ტონი ჰოვატერის ყოფით ცხოვრებას აღწერდა. მასალა აღწერდა ჰოვატერისა და მისი საცოლის ცხოვრების წესს, მათ შეხედულებებს, ცხოვრებაში მისწრაფებებსა და სამომავლო გეგმებს.

რამდენიმე ამონარიდი სტატიიდან:

[1] „Applebee’s-ის რესტორანში ჰუბერ ჰეიტსში, დაიტონის გარეუბანში რიგითი საღამოა, რამდენიმე კვირით ადრე ქორწილამდე. ახალგაზრდა შეყვარებული წყვილი, რომელიც იქვე ახლოს ნიუ კარლაილში ცხოვრობს, ერთმანეთს მხრებით ეხება. ბიჭს უბრალო მოკლესახელოებიანი მაისური აცვია, გოგოს ჯინსის ჟილეტი, სახელოების გარეშე. უძვლო ფრთები შეუკვეთეს. გოგოს მშობლები უკვე შეხვდნენ საქმროს და მათი წყვილი მოინონეს. ქორწილი პატარა იქნება. პატარძლის მეგობრებიც დაესწრებიან ცერემონიალს. „ბევრი გოგო პოლიტიკით მაინცდამაინც არ ინტერესდება,“- აღნიშნავს ის...

... ამერიკელთა უმეტესობა ალბათ ზიზლით განიმსჭვალებოდა და გაოცდებოდა ჰიტლერზე სასხვათაშორისოდ გაკეთებული მისი კომენტარებით დემოკრატიის ზიზლსა და რწმენაზე, იმაზე, რომ უმჯობესი იქნება თუკი რასები ერთმანეთისგან გაიმიჯნებიან. მაგრამ მისი ტატუები პოპკულტურის უწყინარი ნიშნებია: ერთ მხარს ალუბლის ღვეხელის ნაჭერი ამშვენებს ტელესერიალ „Twin Peaks-ის“ საპატივცემულოდ. ამბობს, რომ თეთრკანიანთა ნაციონალიზმის შესახებ ქადაგება სატირის მეშვეობით ურჩევნია. სერიალ Seinfeld-ის დიდი ფანია...”

The New York Times-ში გამოქვეყნებული პორტრეტი დეტალურად აღწერდა ტონი ჰოვატერის გზას მეტალ ბენდის წევრობიდან ჯერ ლიბერტარიანელობამდე, შემდეგ კი ნეონაციისტობამდე. სტატიის წყაროები იყვნენ: ტონი ჰოვატერი, მისი საცოლე, ამერიკული ნეონაციისტური ჯგუფის „ტრადიციონალისტ მუშათა პარტიის“ ლიდერი მეთიუ ჰეიმბახი, მარლინ მაიო - უფროსი მკვლევარი ანტიდეფამაციური ლიგის ექსტრემიზმის ცენტრიდან (სტატიაში გამოყენებულია მაიოს მხოლოდ 1 ციტატა). ერთადერთი ადამიანი, ვინც ჰოვატერის შესახებ მეტ-ნაკლებად ნეგატიური კომენტარი გააკეთა, მისი მეტალ ბენდის ყოფილი წევრი იყო, რომელიც აღნიშნავდა, რომ ნანობდა ჰოვატერთან ნაცნო-

ბობას. სამაგიეროდ, სტატიის საუბარი იყო იმ ახალ მეგობრებზე, რომლებიც ტონი ჰოვატერმა გაიჩინა. მათ შორის 2017 წელს გამართულ მარშზე შარლოტსვილში, სადაც თეთრკანიანთა უპირატესობის რწმენის მქონე ადამიანებმა მასშტაბური მსვლელობა მოაწყვეს და რომელსაც ერთ-ერთი მოქალაქის სიკვდილი მოჰყვა.

[2] „შარლოტსვილის მსვლელობაზე დასწრების შემდეგ, რომლის დროსაც ერთ-ერთმა თეთრკანიანმა რასისტმა მემარცხენე პროტესტის მონაწილეთა ჯგუფში მანქანა შეაგდო და ერთ-ერთი მათგანი მოკლა, ბატონმა ჰოვატერმა დაწერა, რომ ის ამყობდა ამხანაგებით, რომლებიც მას შეუერთდნენ იქ: „ჩვენ შევქმენით ისტორია. დიდება გამარჯვებას.“ გერმანულად „დიდება გამარჯვებას“ კი ითარგმნება, როგორც „Sieg heil.“

სტატიას თან ერთვის სამი ფოტო:

- » ტონი ჰოვატერი საკუთარი სახლის წინ;
- » მისი წიგნების კარადის ფრაგმენტი;
- » ჰოვატერი სუპერმარკეტში საყიდლებზე.

სტატია შემდეგნაირად სრულდებოდა:

[3] „პასტა გამზადდა. ქალბატონმა ჰოვატერმა ისაუბრა, როგორ შეეშინდა ზაფხულში, როდესაც სახლიდან თვალს ადევნებდა შარლოტსვილში სიტუაციის კონტროლიდან გამოსვლას. ბატონმა ჰოვატერმა აღნიშნა, რომ ბედნიერია, რადგან მოძრაობა გაიზარდა.

ისაუბრეს თავიანთ მომავალზე - უფრო დიდ სახლში გადასვლაზე, თავლობის თვესა და ბავშვების ყოლაზე.“

კითხვები დისკუსიისთვის:

- » როგორ ფიქრობთ, რატომ შეცვალა გაზეთმა სტატიის სათაური მოგვიანებით?

- » თქვენი დაკვირვებით, ზემოთ ციტირებულ ნაწყვეტებზე დაყრდნობით, რა გაშუქების რომელი კუთხე გამოიყენა ჟურნალისტმა ტონი ჰოვატერის შესახებ წერისას? გამოიყენებდით თუ არა თქვენც მსგავს კუთხეს? კიდევ რა აქცენტით, როგორ შეიძლება ჰოვატერის პორტრეტის დაწერა?
- » ზემოთ ციტირებულ ნაწყვეტებზე დაყრდნობით რამდენად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჟურნალისტმა ნეონაციისტი ადამიანის შესახებ სათანადო ინფორმაცია შესაბამისი კონტექსტით მოგვანოდა?
- » როგორ ფიქრობთ, საკმარისი იყო თუ არა ის წყაროები, რომლებიც ჟურნალისტმა გამოიყენა? ვის დაამატებდით ან გამოაკლებდით როგორც წყაროს?
- » რა განწყობას გიქმნით ჟურნალისტის მიერ ჰოვატერების ყოფითი ცხოვრების დეტალური აღწერა სტატიაში?
- » როგორ ფიქრობთ, რატომ იყო პრობლემური სტატიის ამგვარად მომზადება და რატომ გამოიწვია საზოგადოების ასეთი მასშტაბური კრიტიკა?

2.2 რომანტიზებისა და გმირებად წარმოჩენის საფრთხე

ტერორისტული ქმედებები, რომლებიც მოსახლეობაზეა მიმართული, მიზნად ისახავს არა მხოლოდ შიშის გავრცელებას მოსახლეობაში, არამედ ახალი მხარდამჭერების მოზიდვასაც. ამისათვის, ასეთი ჯგუფები აქტიურად იყენებდნენ როგორც სოციალურ, ისე ტრადიციულ მედიას, რათა გაეგრძელებინათ თავიანთი ე.წ. ვაჟაკტურობისა და გმირობის ნარატივები (Marthoz, 2017). ტერორისტულმა ჯგუფებმა, ისევე როგორც ნეონაციისტურმა და ნეოფაშისტურმა ჯგუფებმა შესაძლოა, სხვადასხვა ხერხს მიმართონ, რათა გამოიწვიონ თანაგანცდა და სიმპათია ფართო საზოგადოებაში. აღნიშნული მიზნის მიღწევაში კი მათ მედია არ უნდა დაეხმაროს.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ გამოცემულ “ტერორიზმის გაშუქების სახელმძღვანელოში” ცალსახად არის მითითებული, რომ:

- » ტერორისტული დაჯგუფების წევრები არ უნდა იყვნენ წარმოჩენილნი გმირებად, არ უნდა მიაწეროთ ისეთი თვისებები, რაც მათ „მამაც მებრძოლებად“ წარმოაჩენს. ამგვარმა გაშუქებამ შესაძლოა, მათი ქმედების მიმართ დადებითი განწყობა გამოიწვიოს.
- » გაშუქების დიდი წილი არ უნდა დაეთმოს ტერორისტული ორგანიზაციის წევრთა ლიდერებს, მათი ცხოვრების სტილს, მიზნებსა და განხორციელებულ ქმედებებს. ამ ক্ষრილში გაშუქებამ შესაძლოა, მათდამი პოზიტიური დამოკიდებულება გააჩინოს.

იგივე პრინციპები შეიძლება გავრცელდეს ნეონაციონალისტურ თუ სხვა ტიპის ძალადობრივ ჯგუფებზეც. მედიასაშუალებებმა თავიდან უნდა აირიდონ, რომ ზემოთ ხსენებული ჯგუფების მიერ ჩადენილი ძალადობრივი ქმედებები, რომლებიც სშირად კონკრეტული საზოგადოებრივი ჯგუფების თუ მათი ინდივიდუალური წევრების სიძულვილით არის მოტივირებული, არ წარმოაჩინოს როგორც ლეგიტიმური და სამართლიანი ბრძოლა გარკვეული შედეგის მისაღწევად. ნაცვლად ამისა, მედიამ ხელი უნდა შეუწყოს მშვიდობიანი თანაცხოვრების აუცილებლობის წინ წამოწევას და ხაზი უნდა გაუსვას, რომ უდანაშაულო მოსახლეობისკენ მიმართული ძალადობრივი მეთოდები პოლიტიკური თუ სხვა ტიპის მიზნების მიღწევისათვის არ არის გამართლებული.

გარდა ამისა, ძალადობრივი აქტების არასათანადოდ გაშუქებამ შესაძლოა, გარკვეულწილად, წაახალისოს ახალგაზრდებში რადიკალიზაციის რისკი, თუკი ეს აქტები წარმოჩენილი იქნება ამაღელვებელ, გმირულ და საინტერესო თავგადასავლად.

ტერორისტები გარკვეული მოვლენის „დადგმისას“ ცდილობენ, რომ მოახდინონ ზეგავლენა საზოგადოებაზე, რისთვისაც ისინი მასობრივი კომუნიკაციის ინსტრუმენტებს იყენებენ. აღნიშნული კომუნიკაციის მიზნებს შორის კი შეიძლება იყოს: მთავრობის უსუსურობის დემონსტრირება, უფრო ფართო საზოგადოების სიმპატიის მოპოვება, პოლარიზაციისა და რადიკალიზაციის ხელშეწყობა საზოგადოებაში და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მათი ქმედების ერთ-ერთი მთა-

ვარი მიზანი, შესაძლოა, თავიანთი ძალადობრივი ქმედებების საგმირო საქმედ წარმოჩენა იყოს (Bassiouni, 1981 ციტირებული Archetti, 2013).

მათი ამ მიზნების განხორციელებაში ხელის შეშლა თუ არა, დახმარების თავიდან არიდება მაინც უნდა სცადონ მედიასაშუალებებმა. ასეთ დროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზემოხსენებულ გაშუქების კუთხესა და კონტექსტის მინიჭებას, ისევე როგორც ტერმინოლოგიურ სიზუსტესა და გამოყენებულ სიტყვებსა თუ ვიზუალიზაციას, რაზეც უფრო ვრცლად მომდევნო ქვეთავებშიც იქნება საუბარი.

შემთხვევის აღწერა

კვირის პალიტრა - თარხან ბათირაშვილი - ჯიჰადისტი “წითური გენერალი” პანკისიდან

23 ივნისი, 2014

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარებულ ერაყისა და ლევანტის ისლამურ სახელმწიფოს (იგივე ISIL) ადამიანები მსოფლიოს თითქმის ყველა დასახლებული კონტინენტიდან შეუერთდნენ. ორგანიზაციის წევრი გახდა საქართველოს რამდენიმე ათეული მოქალაქეც, როგორც ამის შესახებ არის ნათქვამი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნულ სტრატეგიაში. ამათგან ზოგიერთმა გარკვეული სამხედრო წოდება მიიღო და საერთაშორისო მედიის ყურადღებაც მიიპყრო. ერთ-ერთი მათგანი იყო თარხან ბათირაშვილი, იგივე აბუ ომარ ალ შიშანი. ბათირაშვილისადმი ქართული მედიის ყურადღება სხვადასხვა პერიოდულობით აქტიურდებოდა ხოლმე. მათ შორის, რამდენჯერმე გავრცელდა ცნობები მისი გარდაცვალების შესახებაც.

2014 წლის 23 ივნისს, გაზეთმა „კვირის პალიტრამ“ ვებგვერდზე გამოაქვეყნა სტატია სათაურით „თარხან ბათირაშვილი - ჯიჰადისტი “წითური გენერალი” პანკისიდან“. სტატია მოკლედ მიმოიხილავს ISIS-ში ბათირაშვილის განწევრების წინა ისტორიას,

მისი ცხოვრების პერიპეტიებს საქართველოში და გზას საქართველოს სამხედრო შენაერთში მსახურობიდან ISIS-ამდე. სტატია ყოველგვარი წყაროს გარეშე ყველა ამ პიროვნების ცხოვრების შესახებ და მკითხველს აცნობს მის საბრძოლო კარიერას.

რამდენიმე ამონარიდი „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებული სტატიიდან:

[1] „მან კარგად იცოდა, რომ ათასი ჯურის თავზეხელაღებულ მოჯაჰედს შორის ადგილის დამკვიდრებას მხოლოდ მეტი სისასტიკით და პრინციპულობით შეძლებდა. თავდაპირველად ჯგუფში დაღესტანში რუსების წინააღმდეგ მებრძოლი მეგობრები, ძირითადად ჩეჩნები ჰყავდა. ბათირაშვილმა სირიაში ამბოხებულთა ლიდერების ყურადღება მაშინ მიიქცია, როცა უმოკლეს ხანში ჩრდილოეთი სირია აიღო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მის მიერ ქალაქ ალეპოს სამხედრო ბაზების, მათ შორის ავიაბაზის აღება.“

[2] „ერთ დღეს, როცა ომარ ალ შიშანი დერი ზორას პროვინციაში სამხედრო სპეცოპერაციას ატარებდა სამთავრობო ძალების წინააღმდეგ, ყოფილმა თანამოაზრე ქურთებმა ისარგებლეს და ქალაქ ელ ბაბში მოჯაჰედთა ბანაკებზე იერიში მიიტანეს. როდესაც ეს ამბავი ბათირაშვილმა გაიგო, იძულებული გახდა, შეეჩერებინა საბრძოლო მოქმედებები და თანამოძმეების დასახმარებლად უკან დაბრუნებულიყო. მისმა მებრძოლებმა 300-კილომეტრიანი ბლიცკრიგის შემდეგ ქალაქი ელ ბაბი დაიბრუნა. სწორედ ამ ქალაქის აღების შემდეგ მთელ სირიას მოედო მისი ნათქვამი: “არასდროს მივატოვებ ჩემს ძმებსა და დებს, რადგან ისინი ჩემთვის ძვირფასი ადამიანები არიან”. ელ ბაბის შემდეგ უახლოესი გარემოცვა ფიქრობდა, რომ სისასტიკით ცნობილი ალ შიშანი არავის დაინდობდა და დახოცილი მეომრების გამო შურს იძიებდა (მან ამ დროს 500 მოჯაჰედი დაკარგა). თუმცა, მოულოდნელად, ომარ ალ შიშანმა მოწინააღმდეგეებს მოუწოდა, - თუ იარაღს ჩააბარებდნენ და მოინანიებდნენ, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ

დაემუქრებოდა. მეთაურის ასეთი ჰუმანურობა ცუდად აღიქვა ზოგიერთმა საველე მეთაურმა, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ომარ შიშანის ამგვარი სირობილე მისი ქრისტიანობის ბრალი იყო...”

[3] “ეროვნული კომიტეტი ჯიუტად ირწმუნებოდა, რომ მოკლულ მეზრძოლთა შორის იყო აბუ ომარ ალ შიშანიც. მოგვიანებით ინფორმაცია არ დადასტურდა... - ძღვეამოსილი “წითური გენერალი” რამდენიმე ვიდეომიმართვაში გამოჩნდა, სადაც მუსლიმანებს ერაყი-სირიის ტერიტორიაზე ხალიფატის შესაქმნელად მოუწოდებდა. მალე მისი მომჩივნები ჩეჩენ და ქისტ მეზრძოლებშიც გამოჩნდნენ, რომლებიც შინ დაბრუნებულები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ - ბათირაშვილი მეფურად ცხოვრობს, დადის რამდენიმე ათეული მეომრისგან შემდგარი დაცვით და ჯავშანმანქანებით, რომლებიც ირანელმა სპეციალისტებმა აუნყვეს(!) და ჩვენს ბიჭებს საზარბაზნე ხორცად იყენებსო.”

კითხვები დისკუსიისთვის

- » რა შეგრძნებას გიჩენთ სტატიის სათაური? მხოლოდ და მხოლოდ სტატიის სათაური რომ წაგეკითხათ, იფიქრებდით თუ არა, რომ სტატიაში საუბარი ერთ-ერთ ყველაზე სასტიკი ტერორისტული ორგანიზაციის წევრზე იქნებოდა?
- » რა სიტყვებს იყენებს ჟურნალისტი თარხან ბათირაშვილის აღსაწერად? რა თვისებებზე მიანიშნებენ ეს სიტყვები?
- » მოყვანილი პირველი ციტატის წაკითხვის შემდეგ, როგორ დაახასიათებდით ბათირაშვილს?
- » მეორე აბზაცის დასაწყისი [„ერთ დღეს, როცა ომარ ალ შიშანი დერი ზორას პროვინციაში სამხედრო სპეცოპერაციას ატარებდა...”] რამდენად ჰგავს ჟურნალისტურ თხრობას და ხომ არ გახსენებთ თხრობის სხვა ჟანრს? რომელია ეს ჟანრი?

- » ჟურნალისტის მიერ ბათირაშვილის ქმედებების აღწერა როგორ დამოკიდებულებას აჩენს მისი პერსონისადმი?
- » რას ეყრდნობა ჟურნალისტი? ვინ არის ინფორმაციის წყარო? რამდენად დაზუსტებულია ის დეტალები, რასაც ჟურნალისტი ავრცელებს?
- » რა დამოკიდებულებას გიჩენთ ბათირაშვილის გარდაცვალების შესახებ არაერთგზის გავრცელებული დაუზუსტებელი ინფორმაციის იმ ფორმით მოწოდება, როგორც ეს მესამე ამონარიდშია?
- » როგორ ხატს ქმნის სტატია ბათირაშვილზე ამ სამ ამონარიდზე დაყრდნობით?
- » მხოლოდ ამ მასალის ნაკითხვის შემდეგ რა ინფორმაციას მიიღებდა აუდიტორია თარხან ბათირაშვილზე? რამდენად თანხვედრაშია ეს ინფორმაცია რეალობასთან?
- » მეტი სიზუსტის დასაცავად როგორი უნდა ყოფილიყო თხრობა და რა სიტყვებით უნდა აღწერა ბათირაშვილი ჟურნალისტს?

2.3 მოძალადეთა მიმართვები და პანიკის დათესვა მოსახლეობაში

1995 წლის 19 სექტემბერს, ამერიკელმა ტერორისტმა სახელად „Unabomber“ ა.შ.შ.-ის ორ უმსხვილეს გაზეთს The Washington Post-სა და The New York Times-ს გაუგზავნა პრესრელიზები გამოქვეყნების მოთხოვნით. თქვა, რომ ამ პირობის შესრულების შემთხვევაში, იგი აღარ ჩაიდენდა ძალადობრივ ქმედებას. როგორ უნდა მოქცეულიყო მედია ამ სიტუაციაში? უნდა ეთქვა თუ არა უარი ინფორმაციის გამოქვეყნებაზე და გაერისკა, რასაც შესაძლოა, საფრთხე მოჰყოლოდა ადამიანების სიცოცხლისათვის? ამ თემაზე, ჟურნალისტურ წრეებში, წლების განმავლობაში მიმდინარეობდა განხილვა (Marthoz, 2017).

საზოგადოებაში პანიკის დათესვაზე საუბრისას, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ჟურნალისტური შეცდომა არის მოძალადეთა ვიდრე მიმართვებისა თუ მოწოდებების უაპელაციოდ, დაუმონტაჟებლად

პირდაპირ ეთერში მოხვედრა ან ვებგვერდებზე განთავსება. არ აქვს მნიშვნელობა ასეთი მიმართვა ტერორისტული ჯგუფების მიერ იქნება ჩანერილი თუ ნეონაციისტური ან რასისტული ჯგუფების მხრიდან, თუკი მიმართვა შეიცავს მუქარას, რომელიც შესაძლოა მიემართებოდეს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, მედიის პროფესიონალები ყოველთვის გვირჩევენ, რომ თავიდან ავირიდოთ მსგავსი მასალების პირდაპირი, დაუმუშავებელი ფორმით ინფორმაციის გამოქვეყნება.

ეს ცხადია, არ ნიშნავს ამბის გაშუქებაზე საერთოდ უარის თქმას. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის „ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების“ სახელმძღვანელო პრინციპებში ვკითხულობთ:

- » საზოგადოებას აქვს უფლება მიიღოს ინფორმაცია ტერორიზმთან და მოსალოდნელ საფრთხეებთან დაკავშირებით, თუმცა, მედიას აკისრია პასუხისმგებლობა უნებურად არ გახდეს ხელშემწყობი ტერორისტული შინაარსის მიმართვების თუ მოწოდებების ტირაჟირებისა.

ამდენად, ასეთ დროს, საუბარია არა ინფორმაციის დაბლოკვაზე ან მაცურებელთა ინფორმირების ვალდებულების თავიდან არიდებაზე, არამედ იმაზე, რომ მედია არ უნდა იქცეს ძალადობრივი ჯგუფებისათვის პლატფორმად და მათ უნებლიე მოკავშირედ.

მიმართვებს, იქნება ეს ვიდეო ჩანაწერებისა თუ პრესრელიზების ფორმით, შესაძლოა, სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდეს, მათ შორის შიშის გავრცელება, მხარდამჭერთა რეკრუტირება თუ გარკვეული იერიშის მიტანა სახელმწიფოებზე. ასეთ ვიდეოებსა თუ ტექსტებს ობიექტურად გააჩნიათ ახალი ამბის თვალსაზრისით ღირებულება. თუმცა, ექსპერტები მოგვიწოდებენ, რომ რაიმეს გაშუქებაზე საკუთარი თავისათვის შეზღუდვის დანესების ნაცვლად, უმჯობესია, რომ მედიამ აღნიშნული მიმართვები გაშიფროს, გამოიყენოს მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც სასარგებლო და ღირებულია ახალი ამბისათვის, ამოჭრას პროპაგანდისტული ნაწილი და ამ მიმართვაზე აზრი ჰკითხოს მიმართვის სამიზნე აუდიტორიას.

მუქარის შემცველი მესიჯების გარდა, მედიის ხელში შესაძლოა აღმოჩნდეს ისეთი ვიდეოები, რომლებზეც ასახულია რომელიმე ძალადობრივი ჯგუფის მიერ კონკრეტულ ადამიან(ებ)ზე ძალადობის სცენა. მსგავსი ვიდეოების პირდაპირ, დაუმონტაჟებლად გადაცემა და ვებგვერდებზე განთავსება, გარდა პანიკის დათესვისა, სხვა მიზეზითაც არ არის მიზანშეწონილი. ასეთი მასალების მასმედიით გავრცელებამ შეიძლება, მიბაძვითი ქცევები წახალისოს და ე.წ. copy-cat მკვლევობების სერია მოჰყვეს მას. მაგალითად, ახლო აღმოსავლეთში 2004 წელს, როდესაც ტერორისტებმა რამდენიმე გატაცებულს საჯაროდ მოკვეთეს თავი, მალევე მსგავსი ფაქტები დაფიქსირდა ახლო აღმოსავლეთიდან შორს, მათ შორის ჰაიტისა და ერთ-ერთ ტაილანდურ სოფელში. ჰაიტზე სამი პოლიციელისათვის თავის მოკვეთას დამნაშავეებმა „ოპერაცია ბალდადი“ უწოდეს, ტაილანდში კი ბუდისტი ჩინოვნიკისთვის თავის მოკვეთა ბრალდებულებმა შეაფასეს როგორც რევანში მუსლიმ ამბოხებულთა წინააღმდეგ გამოყენებული ძალადობის გამო (Nacos, 2006).

შემთხვევის აღწერა

Palitra News - „სულ მალე დაგაყრევინებთ თავებს...“ - “პალიტრანიუსმა” მოიპოვა ვიდეო, სადაც ISIS-ის ქართული დაჯგუფება საქართველოს ხელისუფლებას ემუქრება

6 აგვისტო, 2018

გასული რამდენიმე წლის მანძილზე, ქართულ მედიაში რამდენჯერმე გავრცელდა ვიდეო მიმართევები, რომლის ავტორებიც ISIS-ის წევრები იყვნენ. ზოგჯერ ვიდეოებში ისინი თავადაც ჩანდნენ და მიმართვის ტექსტებს კითხულობდნენ. ქართული მედიის ნაწილმა ეს ვიდეოები პირდაპირ, თითქმის ყოველგვარი მონტაჟის გარეშე მიაწოდა აუდიტორიას. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი ვიდეო 2018 წლის აგვისტოში გამოჩნდა ქართულ მედიასა-შუალეებში.

გამოცემა Palitra News-მა აღნიშნული ვიდეო მიმართვა საკუთარ მაყურებელს თითქმის დაუმონტაჟებლად შესთავაზა, თუ არ გავითვალისწინებთ მოკლე შესავალს, რომელსაც ჟურნალისტი კითხულობს და რომელშიც ნათქვამია: „*isis-ის ქართული დაჯგუფება მუქარის შემცველ ვიდეოს ავრცელებს, რომელიც „პალიტრანიუსს“ ხელში ჩაუვარდა. ვიდეოს თან ახლავს ქართული ტიტრები, სადაც დაჯგუფება საქართველოს ხელისუფლებას შურისძიებით ემუქრება. “ჩვენი მეომრები მზად არიან შურისძიებისთვის; სულ მალე დაგაყრევინებთ თავებს, დაგბოცავთ თქვენივე სახლებში,”*“- ნათქვამია ვიდეომიმართვის ტექსტში. ვიდეო სავარაუდოდ 2 კვირის წინაა დამზადებული. ერთ-ერთი ვერსიით, სუს-ის მიერ დაკავებული საქართველოს მოქალაქე მალხაზ ტ, რომლის აყვანის შესახებ ინფორმაცია ორშაბათს გავრცელდა, კავშირშია ზემოხსენებულ დაჯგუფებასთან.“ გამოცემამ სათაურად ვიდეოდან ამოღებული ციტატა გამოიყენა: „სულ მალე დაგაყრევინებთ თავებს“.

ჟურნალისტის რამდენიმეწამიან შესავალს მოსდევს ვიდეოს უწყვეტი ჩანაწერი იმავე ფორმით, რა ფორმითაც, სავარაუდოდ, ის შემქმნელებმა გაავრცელეს. ჩანაწერში იკითხება ტექსტი, რომ ქართველებმა უღალატეს მუსლიმებს და საქართველოს ხელისუფლებამ ისინი უსამართლოდ დახოცა. წარწერებით ირკვევა, რომ კადრებში ჩანს ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს დახოცილი ადამიანები, მათი დაკრძალვის პროცესია და მათზე მგლოვიარე ადამიანები. ვიდეოში გამოყენებულ ტექსტებში იკითხება მუქარა, რომ მალე, ისინი დაუხოცავენ ქართველების ძმებს და შვილებს, ზუსტად ისე, როგორც ქართველებმა დაუხოცეს მათ და ა.შ. ვიდეოში ჩანს კადრები ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული კონტრტერორისტული ოპერაციიდანაც, რომლის დროსაც რამდენიმე ადამიანი გარდაიცვალა. ისინი საქართველოს ხელისუფლების მტკიცებით, თბილისში აფეთქების მოწყობას გეგმავდნენ. ვიდეოს ხანგრძლივობა საერთო ჯამში 4 წუთზე

მეტია და შესავლის ტექსტის გარდა, ჟურნალისტური ჩარევა ვიდეოში არ გვხვდება.

კითხვები დისკუსიისთვის

- » როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორად და სტანდარტების დაცვით არის შერჩეული გამოქვეყნებული ვიდეოს სათაური?
- » რა გრძნობებს აღძრავს ეს ვიდეო მაყურებლებში?
- » გამოაქვეყნებდით თუ არა თქვენც ამ ვიდეოს ამავე ფორმით?
- » რა ალტერნატიული ფორმებით შეიძლება რომ გაევერცელებინა ჟურნალისტს ვიდეოს შესახებ ინფორმაცია?
- » როგორ ფიქრობთ, რა გავლენას მოახდენდა საზოგადოებაზე ვიდეოს შინაარსი?

2.4 პირდაპირი ეთერი

2013 წლის 21 სექტემბერს, კენიის დედაქალაქ ნაირობიში, ოთხმა ნილბიანმა მამაკაცმა ცეცხლი გახსნა Westgate-ის სავაჭრო ცენტრში. თავდასხმის შედეგად, რომელზე პასუხისმგებლობაც დაჯგუფება ალ-შაბააბმა აიღო, 70-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა მათ შორის, 60-ზე მეტი მოქალაქე და 5 ჯარისკაცი. 200-მდე ადამიანი კი დაიჭრა. 2014 წლის თებერვალში, კენიის თავდაცვის ძალების წარმომადგენელმა იულიუს კარანგიმ განაცხადა, რომ შეცდომა იყო, როდესაც მედიასა-შუალედის წარმომადგენლებს საშუალება მისცეს, პირდაპირ ეთერში გაეშუქებინათ ანტიტერორისტული ოპერაცია, რომელიც თითქმის 48 საათი გაგრძელდა. მისი თქმით, მედიის მუშაობამ თავდამსხმელებს საშუალება მისცა, რომ თვალყური ედევნებინათ თავდაცვის ძალების მიერ ოპერაციის დაგეგმვისათვის.

პირდაპირ ეთერში გასვლა ტერორისტული თავდასხმების დროს ჩვეული მოვლენაა მედიისათვის. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ მედიამ

თავისი საქმიანობით ხელი არ შეუშალოს სამართალდამცავებს მუშაობაში, უნებურად არ გახდეს თავდამსხმელთათვის სასარგებლო ინფორმაციის გამავრცელებელი. გადანყვეტილების მიღება პირდაპირ ეთერში არ გასვლაზე შესაძლოა, მოტივირებული იყოს ერთადერთი მიზეზით ჟურნალისტურმა მუშაობამ არ შეუქმნას საფრთხე ვინმეს სიცოცხლეს. მედიის წარმომადგენლებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ რასაც ისინი გადასცემენ, შესაძლოა, რომ უპრობლემოდ აღწევდეს ძალადობრივ აქტში ჩართულ ადამიანებამდე, იქნება ეს ოპერაციის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია, მიმდებარე პერიმეტრის გამოსახულება თუ ჰაერიდან დრონით ან ვერტიკალურით გადაღებული კადრები.

განსაკუთრებით საფრთხილოა პირდაპირ ეთერში გასვლა, როდესაც მოძალადეებს მძევლად ჰყავთ აყვანილი მოქალაქეები, როდესაც თავად რეპორტიორები იმყოფებიან შემთხვევასთან ძალიან ახლოს ან პოლიციის თუ სპეცდანიშნულების რაზმის წევრები ანტიტერორისტული ოპერაციის შუაგულში არიან. ასეთ დროს, მედიის მიერ შეცდომის დაშვება შესაძლოა ადამიანების სიცოცხლის ფასად დაჯდეს და ამის მაგალითები არაერთია საერთაშორისო მედიის გამოცდილებიდან.

1974 წლის 22 ნოემბერს, ოთხმა თავდამსხმელმა British Airways-ის თვითმფრინავი გაიტაცა. ისინი ითხოვდნენ, რომ ეგვიპტის ხელისუფლებას გაეთავისუფლებინა ტერორიზმში ბრალდებული 13 ადამიანი, ხოლო ჰოლანდიის ხელისუფლებას - ორი ადამიანი. ეგვიპტის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ისინი ასრულებდნენ გამტაცებლების მოთხოვნას და აპირებდნენ ტერორიზმში ბრალდებულების გათავისუფლებას და მათთვის გადაცემას. ამ მომენტში ერთ-ერთმა რეპორტიორმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ თვითმფრინავის ბორტთან არავითარი გათავისუფლებული პატიმრები არ იყვნენ და თვითმფრინავის გამტაცებლებს სავარაუდოდ ატყუებდნენ. გამტაცებლებმა შეიტყვეს ამის შესახებ და საპასუხოდ ერთ-ერთი მგზავრი მოკლეს (Cohen-Almagor, 2005).

ამიტომაც, მნიშვნელოვანია, რომ თქვენი საქმიანობით:

- » არ შეუქმნათ საფრთხე ადამიანებს;
- » არ შეუშალოთ ხელი საგანგებო და უსაფრთხოების ოპერაციების მიმდინარეობას;

» არ მიაწოდოთ ტერორისტებს სენსიტიურ და მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

როდესაც ადამიანების გატაცების შესახებ ინფორმაცია გადაიცემა მედით, არ არის რეკომენდირებული, რომ გამჟღავნდეს ინფორმაცია სამართალდამცავების ტაქტიკის თუ ადგილსამყოფელის შესახებ. მედიამ საფრთხის შესახებ მოსახლეობას ინფორმაცია უნდა მიაწოდოს, მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეუშალოს პოლიციას მუშაობაში. ამიტომაც უმჯობესია, რომ არ გაუშვან პირდაპირ ეთერში სატელეფონო თუ ვიდეოზარები გამტაცებლებთან და არ აჩვენონ სამართალდამცავთა სახეები ან დაფარონ ისინი შემდგომ გამოშვებებში (Consell de l'Audiovisual de Catalunya, 2016).

ეს საკითხები კიდევ უფრო მწვავედ დგას დღესდღეობით, როდესაც სოციალურ ქსელებსა და სხვადასხვა ლაივსტრიმინგის მონყობილობაზე რიგითი მოქალაქეების დიდ ნაწილს მიუწვდება ხელი. მედიამ დამატებითი ძალისხმევა უნდა გასწიოს, რომ მოქალაქეთა მხრიდან სენსიტიური ინფორმაციის გავრცელებას კიდევ უფრო არ შეუწყოს ხელი. ამიტომაც მოქალაქეთა მიწოდებულმა ინფორმაციამ (user generated content) სათანადო ფილტრი უნდა გაიაროს მედია პროფესიონალების ხელში და ისე გავრცელდეს საინფორმაციო არხებით. სოციალური მედიის მიერ წარმოქმნილი გამოწვევების შესახებ კი ვრცლად, 2.8 ქვეთავში ვისაუბრებთ.

აქვე, ხაზი უნდა გავუსვათ იმასაც, რომ მსგავსი კრიზისული სიტუაციების დროს, დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელება შესაძლოა, ბევრად უფრო დამაზიანებელი აღმოჩნდეს, ვიდრე სხვა შემთხვევებში. არ არის გამორიცხული ამან გამოიწვიოს აუდიტორიის ქცევის მყისიერი შეცვლა, მაგალითად, მოქალაქეებმა დატოვეს ტერიტორია, თავდაცვისათვის მიმართონ არაპროფესიონალურ ჩარევებს, დათესონ პანიკა სხვა საზოგადოებებში და ამ.

ასევე, მედიამ უნდა გაითვალისწინოს, რომ დალუპულთა, დაჭრილთა და დაშავებულთა რაოდენობა და ვინაობა აუცილებლად უნდა იყოს დაზუსტებული და გაშუქდეს გაუზვიადებლად. ვინაობასთან დაკავშირებით კი, მნიშვნელოვანია ისიც, რომ მედიამ კრიზისული სიტუაციის

შექმნიდან მალევე პირდაპირ ეთერში არ გაამხილოს იმ ადამიანების სახელი და გვარები, რომელთაც ზიანი მიადგათ ან დაიღუპნენ. შესაძლოა, გარდაცვლილთა თუ დაშავებულთა ახლობლებმა ჯერ არ იცოდნენ მომხდარის შესახებ.

შემთხვევის აღწერა

რუსთავი 2 - გაბრიელ სალოსის ქუჩაზე სროლის და აფეთქებების ხმა ისმის

2017 წლის 21-22 ნოემბერი

2017 წლის 21 ნოემბერს ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა სპეცოპერაცია ჩაატარა, რა დროსაც სამართალდამცავებსა და შენობაში მყოფ ადამიანებს შორის შეტაკების შედეგად გარდაიცვალა ერთი სამართალდამცავი, ოთხი კი დაიჭრა. ასევე დაიღუპა შენობაში მყოფი, ტერორიზმში ეჭვმიტანილი 3 პირი და დააკავეს ერთი (Tabula.ge, 2018). სპეცოპერაციის დაწყებიდან მალევე, ქართულმა მედიამ ფაქტის აქტიურად გაშუქება დაიწყო. სპეცოპერაცია, რომელიც 20 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, თითქმის ყველა ტელეკომპანიამ პირდაპირ ეთერში გადასცა. ჟურნალისტები აცხადებდნენ, რომ უჭირდათ ოფიციალური პირებისგან დაზუსტებული ინფორმაციის მიღება. კონტრტერორისტული ოპერაციის მიმდინარეობისას არ არსებობდა ერთი პრესსპიკერი, რომელიც ჟურნალისტებს დეტალურ ინფორმაციას მიაწვდიდა. ამასთან არ დაფიქსირებულა შემთხვევა, როდესაც ძალოვანი უწყების წარმომადგენლების მოთხოვნა ჟურნალისტებმა არ დააკმაყოფილეს და აკრძალულ ტერიტორიაზე მანც შეიჭრნენ.

ტელეკომპანია „რუსთავი 2-მა“ მაყურებელს პირდაპირი ჩართვა 21 ნოემბერსვე დაიწყო. ჟურნალისტმა მაყურებელს მის ხელთ არსებული, დაუდასტურებელი ინფორმაცია და ადგილზე მიმდინარე მოვლენების შესახებ მოკლე ცნობები მიაწოდა.

ოპერატორი თითქმის მთელი ჩართვის მანძილზე საკმაოდ ახლო ხედით აჩვენებდა კორპუსის მიმდებარე ტერიტორიებზე მობილიზებულ სამართალდამცავებს, ჟურნალისტი კი პერიოდულად აცხადებდა ინფორმაციას თუ რომელი სამართალდამცავი სამსახურის წარმომადგენელი შედიოდა შემოსაზღვრულ პერიმეტრზე. ჩართვები ეთერში მომდევნო დღეს დილიდანვე განახლდა. ჟურნალისტი, რომელიც კორპუსის მიმდებარე ტერიტორიებიდან აწვდიდა მაცურებელს ინფორმაციას, აჩვენა კადრები ეზოდან, სადაც სამართალდამცავები იყვნენ მობილიზებულები, ეთერში გაუშვა ევაკუირებული მეზობლების კომენტარები. კადრებში ჩანდა როგორ და რა მიმართულებით გადაადგილდებიან ადგილზე მობილიზებული სპეცდანიშნულების რაზმის წევრები.

მომდევნო ჩართვაში, ეთერში გავიდა ბინაში მცხოვრები მოქალაქის სატელეფონო კომენტარი, სადაც ის პოლიციის არაკომპეტენტურობაზე ამახვილებდა ყურადღებას და ყვებოდა განცდილ შიშსა და ნერვიულობაზე. ტელეკომპანიას არ დაუფარავს მობილიზებულ სამართალდამცავთა სახეები. ოპერატორი ცდილობდა, რომ მაქსიმალურად მიეახლოვებინა კადრი იმ სადარბაზოსთან, სადაც სავარაუდოდ ეჭვმიტანილები იყვნენ. ჟურნალისტი შეეცადა, სასწრაფო დახმარების ბრიგადისაგან აელო კომენტარი, რომელიც შეტაკების პერიმეტრზე ცდილობდა შესვლას. ჟურნალისტი ასახელებდა თუ სად და რომელი მხრიდან უნდა შესულიყო სასწრაფო დახმარების მანქანა. სხვა ტელევიზიებთან ერთად აღნიშნული ტელეკომპანიის ჟურნალისტიც პირდაპირ ეთერში შეეცადა რამდენიმე მეზობლისაგან კომენტარის აღებას, რომლებიც სპეცოპერაციის მიმდინარეობის დროს ადგილს ტოვებდნენ. ტელევიზიის ეთერით გავიდა მეზობელი კორპუსიდან გადაღებული „ექსკლუზიური“ კადრებიც, სადაც მოსჩანს სახლი, რომელშიც სავარაუდოდ ეჭვმიტანილები იყვნენ გამაგრებულები. გარკვეულ მომენტში, ჟურნალისტი ხელითაც კი სწევს პოლიციელს რომ სასწრაფო დახმარების მანქანის გამოსვლის კადრები გადაიღოს ოპერატორმა. ჟურნალისტიები სამაშველო ჯგუფის

მანქანაში ყოფენ მიკროფონს, რათა იქ მსხდომი თანამშრომლები-საგან გაარკვიონ თუ რატომ შედიან ისინი შეტაკების ადგილზე.

კითხვები დისკუსიისთვის

- » როგორ ფიქრობთ, საჭიროა თუ არა იმ ადგილიდან პირდაპირი ტრანსლაცია, სადაც კონტრტერორისტული ოპერაცია შეიძლება მიმდინარეობდეს?
- » არსებობს თუ არა საჯარო ინტერესი მომხდარის მიმართ?
- » უნდა გაავრცელოს თუ არა ჟურნალისტიკა დაუდასტურებელი ინფორმაცია ასეთ სიტუაციაში?
- » რამდენად გამართლებულია, თქვენი აზრით, სამართალდამცავთა ჩვენება პირდაპირ ეთერში?
- » უნდა აჩვენოს თუ არა ტელევიზიამ ასეთ დროს სპეცდანიშნულების რაზმისა და პოლიციის თანამშრომელთა განლაგება და გადაადგილების ტრაექტორია?
- » როგორ აფასებთ ზემოთ აღწერილ შემთხვევაში ჟურნალისტიკის მცდელობებს, მიეღო ინფორმაცია სასწრაფო და სამამულო სამსახურების მანქანებში მჯდომი ადამიანებისგან?
- » თვლით თუ არა რომ მსგავსი ოპერაციების გაშუქებისას ოპერატორის მიერ კადრების ახლო ხედით ჩვენება დასაშვებია?
- » რა დეტალები შეიძლება აღწეროს ჟურნალისტიკა პირდაპირ ეთერში მუშაობისას?
- » როგორ შეიძლება დააზუსტოს ჟურნალისტიკა კომენტარი მაშინ, როდესაც ოფიციალური უწყებები არანაირ ინფორმაციას არ ავრცელებენ მიმდინარე კონტრტერორისტული ოპერაციის შესახებ?
- » თუკი ჟურნალისტიკა უშვებენ ოპერაციის მიმდებარე ტერიტორიაზე და მას თავისუფლად შეუძლია გაღება და პირდაპირ ეთერში გადაცემა იქ მიმდინარე მოვლენების შესახებ, მაინც უნდა შეიკავოს თავი?
- » რა ალტერნატიული გზა არსებობს იმისათვის, რომ თან აჩვენო მიმდინარე მოვლენები და თან ხელი არ შეუშალო ოპერაციას?

2.5 სტერეოტიპები

ისეთ მომენტებში, როცა ტერორისტული აქტი ახალი მომხდარია ან რომელიმე პოლიტიკური თუ იდეოლოგიური ნიშნით მოტივირებულმა ჯგუფმა ზოგადად მოსახლეობის თუ საზოგადოების კონკრეტული სეგმენტის დასაშინებლად ძალადობრივი დანაშაული ჩაიდინა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორი ფორმით და ვისგან მიიღებენ ადამიანები პირველად ინფორმაციას. ასეთ დროს, ტელე და ონლაინ-მედიაში მომუშავე ჟურნალისტის ტონი, შერჩეული სიტყვები და გამოსახულებები ორი რამის გამოა მნიშვნელოვანია: პირველი, იგი თავიდან აგვარიდებს მოსახლეობაში არაფრის მომცემი პანიკის დათესვას, რაზეც პირდაპირ ეთერებზე საუბრისას გავამახვილეთ ყურადღება; და მეორე, დაგვაზღვევს იმისაგან, რომ შეშინებულმა მოსახლეობამ ე.წ. განტევების ვაცების ძიება არ დაიწყო და თავად არ გახდეს მოძალადე იმ ჯგუფის მიმართ, რომელთა წარმომადგენლებიც, შეიძლება რაიმე ნიშნით იყვნენ დაკავშირებული ძალადობის ჩამდენებთან.

ამდენად, ჟურნალისტის მიერ გავრცელებული ინფორმაცია დაცლილი უნდა იყოს დაუზუსტებელი ინფორმაციისგან, სტერეოტიპული მიდგომებისა და ნაჩქარევი დასკვნებისაგან. ამით ჟურნალისტი ხელს შეუწყობს მოსახლეობაში დაბალანსებული, ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაციის გავრცელებას და დააზღვევს, რომ საზოგადოების ზოგიერთი ჯგუფი არ გახდეს სტიგმატიზაციის მსხვერპლი. ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის სახელმძღვანელოში ვკითხულობთ:

- » უარყოფითი ქმედების დაკავშირება მასში მონაწილე პირების წარმომავლობას ან რელიგიურ მრწამსთან არარელევანტურია. ამგვარი ინფორმაცია მხოლოდ ნეგატიურ სტერეოტიპებს აღვივებს და ხელს უწყობს სტიგმატიზაციას. ნაცვლად ამისა, აჩვენეთ მთლიანი სურათი და ხაზი გაუსვით იმას, რომ რელიგიურ ან ეთნიკურ ღირებულებებს კავშირი არ აქვს ტერორიზმთან. წარმოაჩინეთ ექსპერტთა და ანალიტიკოსთა შეფასებები, სტატისტიკა ან სხვა რელევანტური ინფორმაცია, რომელიც პრობლემას მთლიანობაში წარმოაჩენს.

ნაჩქარემა და არაინფორმირებულმა დასკვნებმა შესაძლოა არასაჭირო სტერეოტიპიზაციამდე მიგვიყვანოს. ყველა, ვინც დანაშაულს სჩადის, ტერორისტი არ არის. ხოლო ყველა, ვინც ტერორისტულ აქტს სჩადის, შესაძლოა დაკავშირებული არ იყოს დიდ ტერორისტულ ორგანიზაციასთან. ამიტომაც, საჭირო არ არის ყოველი კრიმინალური შემთხვევის დროს მოსახლეობაში პანიკის დათესვა.

2017 წელს, ლონდონში, ვესტმინსტერის სასახლის მიმდებარე ტერიტორიებზე 52 წლის ბრიტანელი ხალიდ მასუდი მანქანით დაეჯახა ტროტუარზე მოსიარულე 50-მდე ადამიანს, რომელთაგან 4-ს სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა. მოგვიანებით კი, იგი დანით დაესხა თავს იქვე მყოფ ერთ-ერთ პოლიციელს. მასუდი დანაშაულის ადგილზევე გარდაიცვალა. მედიასაშუალებებმა ამბიდან მალევე დაიწყეს სპეკულაციები, რომ მასუდის ქმედებები ISIS-თან იყო დაკავშირებული. საბოლოოდ, პოლიციამ ვერავითარი კვალი ვერ დაადგინა მასუდის ქმედებებსა და რომელიმე ტერორისტულ ორგანიზაციას შორის.

მედიისა და ხელისუფლების ქმედებების კრიტიკისას, ბრიტანელი ავტორი და ჟურნალისტი საიმონ ჯენკინსი წერდა: „ნუ გამოავსებთ გაზეთების გვერდებს და ტელე თუ რადიო ეთერებს ისეთი სიტყვებით, როგორიცაა შიში, საშინელება, მანიაკი, მონსტრი. ნუ მისცემთ ქალაქის მერს მიზეზს, რომ მოვარდეს ყვირილით „ნუ აყვებით პანიკას“. არ არის საჭირო მედიაში ექსპერტთა სპეკულაციები იმაზე, თუ „რა სურს ISIS-ს“ და „რა რთულია თავის დაცვა ასეთი თავდასხმებისას“. ნუ წარმოაჩინთ ლონდონს საშინელებათა ფილმის გადასაღებ მოედნად. ნუ ეძებთ გამწარებულები შინაზარდ ოსამა ბინ ლადენს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, ნუ მოიკატუნებთ თავს თითქოს „ჩვეულებრივად იქცევით“ მაშინ, როცა ამის საპირისპიროს აკეთებთ.“

სახელმძღვანელოებში, სადაც საუბარია ტერორიზმზე, რადიკალიზაციაზე ან ნეონაცისტური ჯგუფებიდან მომდინარე საფრთხეებზე, როგორც წესი, ხაზგასმულია, რომ მედიამ ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რომ ტერორისტული აქტების დაკავშირება არ მოხდეს რელიგიურ, ეთნიკურ თუ კულტურულ წარსულთან (Marthoz 2017, Teratoolkit).

შემთხვევის აღწერა

სხვადასხვა მედიასაშუალებების ეთერში თუ ვებგვერდზე ხვდება სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეთა მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ ახალი ამბები. როგორც წესი, მსგავსი შემთხვევების გაშუქებისას, მედია კიდევ უფრო აქტიურია თუკი დანაშაულში აზიის, ახლო აღმოსავლეთის ან აფრიკის ქვეყნების მოქალაქეები არიან გარეულები.

2017 წლის 30 ივნისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გავრცელა ინფორმაცია, რომ სამართალდამცველებმა ახალციხეში ირანის მოქალაქე დააკავეს. 51 წლის მამაკაცი 5 არასრულწლოვანთან სექსუალური კონტაქტის დამყარების მცდელობის გამო წაუყენეს ბრალი. 6 ივლისს კი, სასამართლომ დაკავებულს 6-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ქვემოთ მოტანილია ორი ვებსაიტის მიერ მამაკაცის დაკავებისა და სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია.

ალტ-ინფო - ახალციხეში ირანელი მამაკაცი 5 არასრულწლოვანი ბიჭის გაუპატიურების მცდელობისთვის დააკავეს

30 ივნისი, 2017 წელი

ახალციხეში ირანელი მამაკაცი არასრულწლოვნებთან სექსუალური კონტაქტის დამყარების მცდელობის გამო დააკავეს. ბრალდებული 51 წლის არის და ახალციხეში ერთ-ერთ სანარმოში მუშაობდა. ის 5 არასრულწლოვან ბიჭთან მოტყუებით ცდილობდა სექსუალური კავშირის დამყარებას, თავიდან ცდილობდა მათ გაცნობას, ნდობის მოპოვებას, შემდეგ კი ფულის შეთავაზებით მათ სექსუალურ კავშირზე დათანხმებას.

სააგენტო პირველი - ირანელს მოზარდებთან გარყვნილი ქმედების მომზადებისთვის 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

20 ივლისი, 2017 წელი

ახალციხის რაიონულმა სასამართლომ მოზარდებთან გარყვნილი ქმედების მომზადებისთვის ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ახალციხის რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მოზარდებთან გარყვნილი ქმედების მომზადებისთვის, ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე ჰ.ქ. დამნაშავედ სცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 18-141-ე მუხლით (ხუთი ეპიზოდი).

კითხვები დისკუსიისთვის

- » რა შეუსაბამობას ხედავთ „ალტ-ინფოს“ მიერ გავრცელებული ამბის სათაურსა და ტექსტს შორის?
- » სათაურისა და ტექსტის შედარებისას, როგორ ფიქრობთ, რა საფრთხეს ქმნის სავარაუდოდ ჩადენილი ქმედების მედიის მიერ კიდევ უფრო დამძიმება და სექსუალური კონტაქტის დამყარების ნაცვლად გაუპატიურების მცდელობის შესახებ მითითება?
- » რა შეუსაბამობას ხედავთ სააგენტო პირველის სათაურსა და ტექსტს შორის? (გაითვალისწინეთ, რომ სააგენტო პირველის გამოქვეყნებულ ამბავში სათაური სააგენტოს მოფიქრებულია, ტექსტი კი დაკოპირებულია საქართველოს პროკურატურის პრესრელიზიდან).
- » როგორ ფიქრობთ, რამდენად მიზანშეწონილია, რომ მედიასა-შუალეობამ კრიმინალური აქტების ჩადენის დროს ყურადღება გაამახვილოს მოქალაქის რელიგიაზე, ეთნიკურ წარმომავლობასა და რასაზე?
- » როგორ საფრთხეს ქმნის, თქვენი აზრით, მედიის მიერ კრიმინალური ამბების დაკავშირება დანაშაულის ჩამდენის იდენტიფიკაციასთან?
- » რა ინფორმაციას და წარმოდგენას ქმნის საზოგადოებაში, აქ მოყვანილი ტექსტები, ეთნიკური ირანელების მიმართ?

» რა ალტერნატიული ტექსტით, გზით იყო შესაძლებელი ამ შემთხვევის გაშუქება?

2.6 ამბების ვიზუალური მხარე

2013 წლის აგვისტოს ნომერში, ჟურნალმა Rolling Stone ყდაზე ბოსტონის მარათონის აფეთქებაში ბრალდებული ჯოხარ ცარნაევის ფოტო დაბეჭდა. ფოტოზე ცარნაევი უმანკო მზერით, ხვეული თმებითა და უბრალო მაისურით რიგით ამერიკელ მოზარდს ჰგავდა. ჟურნალის გადნწყვეტილებას ყდაზე გამოეცანა ასეთი სურათი, დიდი გამოხმაურება მოჰყვა როგორც მედიანრეებში, ასევე ჟურნალის მკითხველისგან. Rolling Stone-ის სოციალური მედიის ანგარიშებზე მკითხველებმა ერთგვარი იერიში მიიტანეს და ჟურნალი რამდენიმე ადამიანის მკვლელობაში დამნაშავეს გაკეთილშობილების მცდელობაში დასდეს ბრალი. კრიტიკოსებმა ჟურნალს ტერორიზმის გლამურულად წარმოჩენაში დაადანაშაულეს და აღნიშნავენ, რომ ცარნაევი ამ ფოტოში როკ-ვარსკვლავს ჰგავდა (New Yorker, 2013).

დღესდღეობით, როდესაც მედიაპროდუქტის წარმოებაში უფრო და უფრო დიდი ყურადღება ექცევა აუდიო-ვიზუალური ინფორმაციის გამოქვეყნებას, ხოლო ტექსტები მცირდება, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება რას გამოაქვეყნებს მედია და რა ფორმით. განსაკუთრებით, თუკი საქმე ეხება არა უბრალოდ სასურველად წარმოჩენას, არამედ შოკის მომგვრელი სურათებისა და ვიდეო ჩანაწერების გამოქვეყნებას, სადაც გრაფიკულად არის წარმოჩენილი ძალადობრივი, ექსტრემისტული ჯგუფების მიერ მსხვერპლთა სიკვდილით დასჯა, თავის მოკვება, თვითმკვლელი ექსტრემისტების მიერ თავის აფეთქება და ა.შ.

ეს საკითხი, უმეტესწილად, პროფესიული ეთიკის სფეროში ექცევა ხოლმე, თუმცა მაგალითად, საფრანგეთში, ტერორისტული აქტის მსხვერპლთა გამოსახულებების გამოქვეყნების გამო მედია შესაძლოა 15 000 ევროთ დაჯარიმდეს. სხვა ქვეყნების შემთხვევაში კი, აღნიშნული

ეთიკური დილემები ძირითადად სარედაქციო პოლიტიკების დონეზე წყდება (Marthoz, 2017).

UNESCO-ს მიერ გამოცემული ჟურნალისტთა სახელმძღვანელო რამდენიმე გამოცემის პოლიტიკას მიმოიხილავს ამ მხრივ. მაგალითად, ახალი ამბების სააგენტო Agence France-Presse უარს ამბობს გამოაქვეყნოს მოძალადეთა მიერ ადამიანებისთვის თავის მოკვეთის ვიდეოები. სააგენტო იყენებს მხოლოდ და მხოლოდ ცალკეულ სცენებს ვიდეოდან, რომელიც არ ლახავს გარდაცვლილთა ღირსებას და მსხვერპლთა იდენტიფიცირების შემთხვევაში, ისინი ცდილობენ, რომ ამ ადამიანების სიცოცხლეში გადაღებული ფოტოები გამოიყენონ (Marthoz, 2017).

ბრიტანულმა გამოცემა The Guardian-მა კი 2016 წელს ISIS-ის მიერ ადამიანთა დახოცვის ამსახველი ვიდეოების გამოქვეყნების შესახებ რამდენიმე ძირითადი რეკომენდაცია გამოაქვეყნა (Smith, 2016):

- » არ გამოიყენოთ ვიდეო ან ფოტოსურათი, რომელიც ბოროტმოქმედებს მიმზიდველად წარმოაჩენს - მაგალითად, როდესაც ისინი პოზირებენ მძევლებთან ერთად ან იარაღით ხელში. გამოიყენეთ აუდიომასალა ეკონომიურად;
- » გამოიყენეთ მხოლოდ და მხოლოდ ახლოდან მოჭრილი ფოტოკადრი მძევალთა ვიდეოდან და განათავსეთ ის ვებსტატიის ქვედა ნაწილში, რათა არ გამოჩნდეს სტატიის დასაწყისშივე;
- » იდეალურ შემთხვევაში, მძევლის ან მსხვერპლის მთავარი გამოსახულება უნდა იყოს ფოტო, რომელიც სხვა დროს და სხვა კონტექსტშია გადაღებული.

ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას, ამბების ვიზუალურ გაფორმებაზე ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის სახელმძღვანელოც. სახელმძღვანელო საუბრობს ვიზუალური ხერხებით ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების ნორმალიზების საფრთხეებსა და პოლიტიკურ თუ ეთიკურ ქვეტექსტებზე, რომლებიც თან ახლავს მსგავსი ვიზუალური მასალის გამოქვეყნებას. სახელმძღვანელო ხაზს უსვამს ჟურნალისტის პასუხისმგებლობაზეც, რომ მან:

- » არ მოახდინოს ტერორისტული მონოდებების და მიზნების ტირაჟირება;
- » არ დაარღვიოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ადამიანებისთვის დამატებითი ტკივილის მიყენება, განსაკუთრებით მსხვერპლებისა და მათი ახლობლებისთვის.

შემთხვევის აღწერა

რუსთავი 2 - ექსკლუზივი: ჩატაევის ცხედრის ფოტომასალა და კადრები, სადაც კიდევ ერთი ტერორისტის ლიკვიდაციაა ასახული 27 დეკემბერი, 2017 წელი

ზემოთ აღწერილი, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული ანტიტერორისტული ოპერაციიდან დაახლოებით 1 თვის თავზე, ტელეკომპანია “რუსთავი 2-მა” გავრცელა ინფორმაცია, საიდანაც არხის მაცურებელი იგებდა:

„ახმედ ჩატაევი ლიკვიდირებულია. “კურიერმა” ექსკლუზიური ფოტო მოიპოვა, სადაც ლიკვიდირებული ჩატაევია ასახული. ასევე ფოტოზე ჩანს მისი ფეხის პროტეზიც. გარდა აღნიშნული ფოტომასალისა, „კურიერმა“ ექსკლუზიური ვიდეომასალაც მოიპოვა, სადაც ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაციისას ტერორიზმში ერთ-ერთი ბრალდებულის ლიკვიდაციაა ასახული.“

ამ დღემდე, ქართულ მედიაში არ გავრცელებულა დადასტურებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სპეცოპერაციის დროს ლიკვიდირებული პირი ახმედ ჩატაევი იყო. შესაბამისად, არხის გავრცელებული ინფორმაციას ნამდვილად ჰქონდა ღირებულება, ამ ამბის მიმართ არსებობდა საჯარო ინტერესი და ტელევიზიას აბსოლუტურად ყველა მიზეზი ჰქონდა ექსკლუზიური ამბის გასავრცელებლად.

გადაცემის წამყვანმა ფოტოს ეკრანზე ჩვენებამდე აღნიშნა: „ეს ძალიან მძიმე კადრია, თუმცა, მისი გრაფიკულად დამუშავე-

ბის შემთხვევაში არსი მთლიანად დაიკარგებოდა, ამიტომ ძალიან გთხოვთ, რომ ბავშვები მოარიდოთ ეკრანს.“

ეკრანისათვის ბავშვების მორიდების თხოვნა გაიმეორა ჩართვაზე მდგარმა ჟურნალისტმაც, რასაც მოსდევდა უკვე გარდაცვლილი ახმედ ჩატაევის აფეთქებული სხეულის ნარჩენების დაუფარავი ჩვენება. ფოტოზე, რომელიც მაყურებელს „რუსთავი 2-მა“ ანახა, ფაქტობრივად შეუძლებელია რაიმეს გარჩევა, გარდა შეგროვებული სისხლსა და ტალახში აზელილი სხეულის რამდენიმე ნაწილისა, მათ შორის, თავის ქალის ნარჩენებისა, რომელიც კისრის ქვემოთ მოწყვეტილია სხეულისაგან. ასევე ჩანდა ფეხის პროტეზის დასისხლიანებული ნარჩენები.

კადრების ჩვენების პარალელურად, ჟურნალისტმა ისევ გაიმეორა, რომ არხმა სხეულის ნაწილების ფოტო არ დაამუშავა გრაფიკულად, რადგან მისი აღქმა ველარ მოხერხდებოდა.

ამის შემდეგ, ტელეკომპანიამ გაუშვა უკვე სიუჟეტი, რომელიც იწყება ტერორიზმში ერთ-ერთი ბრალდებულის საცხოვრებელი კორპუსიდან გამოსვლით. იგი შეიარაღებული იყო და ისროდა სამართალდამცავების მიმართულებით. კადრებში ჩანდა თუ როგორ ხვდება მას ტყვია და ეცემა ჯავშანტექნიკის წინ. რამდენიმე წამში კი იგი სავარაუდოდ საკუთარივე გახსნილი ხელყუმბარით ფეთქდება. ახმედ ჩატაევის სხეულის ნაწილების მსგავსად, კადრები არც აქ ყოფილა გრაფიკულად დამუშავებული.

კითხვები დისკუსიისთვის

- » რა ემოციებს გამოიწვევდა თქვენში, როგორც ინფორმაციის მომხმარებელში მსგავსი კადრების ტელეეთერთ ხილვა?
- » როგორ ფიქრობთ, ჰქონდა თუ არა არსებითი ღირებულება ახმედ ჩატაევის დანაწევრებულ, სისხლსა და მტვერში ამოსვრილ სხეულის ნაწილების ხილვას? რა დამატებითი ღირებული ინფორმაცია მიიღო ამით მაყურებელმა?

- » როგორ ფიქრობთ, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ასეთი კადრების ხილვამ დალუპულთა ახლობლებზე? მის თანამოაზრეებზე?
- » როგორ ფიქრობთ, მსგავსი კადრების გრაფიკული დამუშავების გარეშე გამოქვეყნება როგორ იმოქმედებს იმ ადამიანთა რადიკალიზაცია/დერადიკალიზაციაზე, რომლებიც პოტენციურად შეიძლება უთანაგრძნობდნენ ოპერაციის დროს დალუპულებს?
- » როგორ ფიქრობთ, მაყურებელთა იმ ნაწილს, რომლებიც პოტენციურად უთანაგრძნობენ ოპერაციის დროს დალუპულებს, რა წარმოდგენა შეიძლება შეუქმნას გარდაცვლილზე იმ კადრების ხილვამ, სადაც ჩანს თუ როგორ იბრძვის ერთი ადამიანი სპეცრაზმელთა მთელი ჯგუფის წინააღმდეგ, შემდეგ კი სასიკვდილოდ დაჭრისას თავს იფეთქებს?
- » რა შემთხვევაში შეიძლება ვიზუალურად მძიმე კადრის გაშვება ეთერში ანდა ვებსაიტზე გამოქვეყნება?
- » როგორ შეიძლება მოყვე ამ მძიმე ვიზუალური მასალის გარეშე ზემოთ აღწერილი ამბავი?

2.7 ტერმინოლოგია

სიტყვები „ტერორისტი“, „ტერორიზმი“, „ტერორისტული თავდასხმა“ არ არის შეფასებებისაგან დაცლილი ტერმინები. თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ჟურნალისტური სახელმძღვანელო თუ წამყვანი მედიაორგანიზაციის სტილის სახელმძღვანელო ხაზს უსვამს, რომ ასეთი ემოციების აღმძვრელი, შეფასებითი ტერმინების გამოყენება არ არის ჟურნალისტის საქმე. ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხები არასდროს არის ერთგანზომილებიანი, ამიტომაც ჟურნალისტი შესაძლოა, ადვილად შეცდეს მსგავსი შეფასებითი სიტყვების გამოყენებისას.

მაგალითად, 1970-80-იან წლებში, ურუგვაიში არსებობდა ტუპამაროსების ეროვნული გამათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც პარტიზანულ ბრძოლაში იყო ჩართული. ქვეყნის ხელმძღვანელობამ ის ტერორისტულ დაჯგუფებად გამოაცხადა, მაშინ, როდესაც თავად ჯგუ-

ფის წევრები დიქტატორული რეჟიმისაგან ქვეყნის განთავისუფლები-სათვის მებრძოლებად აღიქვამდნენ თავს. UNESCO-ს სახელმძღვანელო ჟურნალისტებისათვის ასეთ შემთხვევებს დილემურად მიიჩნევს და სვამს კითხვას: როგორ უნდა მოვიხსენიოთ პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც დიქტატურის ან ოკუპაციის პირობებში ტერორისტულ აქტებს მიმართავენ, განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრებად თუ ტერორისტებად (Marthoz, 2017)?

საინფორმაციო სააგენტო Reuters-ი ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „ტერორისტი“, „ექსტრემისტი“, „ამბოხებული“, „პარტიზანი“ და ა.შ. ემოციურ (emotive) სიტყვებს უწოდებს და აღნიშნავს, რომ „ზოგიერთ სიტყვას ემოციური რეზონანსი ახლავს თან ან ძალზე საკამათოა, ან ბუნდოვანია, ამდენად მათი გამოყენება უნდა მოხდეს განსაკუთრებული ნეიტრალურობითა და სიზუსტით.“ იგივე შენიშვნას ვხვდებით BBC-ის სარედაქციო გაიდლაინში, სადაც ნათქვამია, რომ სიტყვა „ტერორისტი“ ინფორმაციის მომხმარებლებისათვის, ამბის გაგებისას, შეიძლება ბარიერი უფრო იყოს, ვიდრე დამხმარე (BBC, 2019).

საინტერესო შენიშვნაა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, კულტურის, მეცნიერებისა და განათლების კომიტეტის 2005 წელს გამოცემულ დოკუმენტში „მედია და ტერორიზმი“, სადაც ნათქვამია, რომ სიტყვა „ტერორიზმის“ არასათანადო გამოყენებამ ე.წ. „ნორმალური“ კრიმინალური ქმედების დროს შესაძლოა, გამოიწვიოს ნეგატიური გაგებით გმირად წარმოჩენისა და ყურადღების მიპყრობის საფრთხეები მათ მიმართ, ვინც ცდილობს, რომ ანტიგმირად ყოფნით ისარგებლოს (Jařab 2005). ეს მაშინ, როდესაც ბევრი ე.წ. ტერორისტული ქმედებები „ჩვეულებრივ“ კრიმინალურ ქცევაზეა დაფუძნებული და არა პოლიტიკურ ან იდეოლოგიურ ქმედებაზე. შესაბამისად, ისინი შესაძლოა, უფრო აღმატებული ძალის მქონეებად წარმოჩინდნენ საზოგადოების თვალში და წარმატებით მოახერხონ მოსახლეობის დაშინება.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტია ჩამოთვლის კონკრეტულ სიტყვებს, რომლებიც უმჯობესია მედიის წარმომადგენელმა გამოიყენოს მუშაობისას „ტერორისტული აქტის“ ნაცვლად. ესენია:

- » „აფეთქება“;
- » „დაბომბვა“;
- » „სროლა“;
- » „ცეცხლის გახსნა“;
- » „შეიარაღებული პირი“;
- » „გამტაცებელი“;
- » „თავდამსხმელი“ და სხვა.

იქვე, ჟურნალისტური ეთიკის ქარტია აღნიშნავს, რომ მართალია ჟურნალისტები უნდა მოერიდონ თავიანთ საავტორო ტექსტებში სიტყვა „ტერორისტის“ გამოყენებას, მაგრამ ამავედროულად, „ჟურნალისტებმა არ უნდა შეცვალონ სიტყვა “ტერორისტი” სხვა სიტყვით, როცა ის ნახსენებია რესპონდენტის ციტატაში. უნდა ჩანდეს, რომ ამ ტერმინს წყარო იყენებს.“

#WordsMatter ასე ქვია კამპანიას, რომელიც 2018 წელს დიდ ბრიტანეთში ტერორისტული თავდასხმების დროს გადარჩენილმა ადამიანებმა დაიწყეს (Davies 2019). ამ კამპანიით ისინი მედიას მოუწოდებდნენ, რომ არ გამოიყენებინათ ისეთი ტერმინები, რომლებიც ძალადობრივ ექსტრემიზმში ჩართულ ადამიანებს გმირებად წარმოაჩენს ან რაიმე ფორმით მათი ქმედებების ლეგიტიმიზებას ახდენს. მაგალითად, ხშირად შეხვედებით მტკიცებას, რომ მედიამ არ უნდა გამოიყენოს ისეთი ტერმინები, როგორცაა „ჯიჰადი“ „მოჯაჰედი“, „ხალიფატი“ “ISIS” და ა.შ. ამ მითითების ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი არის ის, რომ სწორედ ამ სახელით მოიხსენიებენ ხოლმე ძალადობრივ ექსტრემიზმში ჩართული ადამიანები საკუთარ თავსა და საქმიანობას.

აქვე, მედიის წარმომადგენლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ძალადობრივი ჯგუფები შესაძლოა, იყენებდნენ ისეთ ტერმინოლოგიას, რომელიც მათ წარმოაჩენს როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლებს, წამებულებს ან ჩაგრულებს, ხოლო სხვა ჯგუფებს, რომელთან წინააღმდეგობასაც აფუძნებენ ისინი საკუთარ იდენტობას, წარმოაჩენდნენ როგორც საფრთხეებს საზოგადოებისთვის. ისინი შესაძლოა, შეეცადონ კონკრეტული ადამიანების მარგინალიზებასა და სტიგმატიზებას კონკრეტული ნიშნით (მაგ, მიგრანტები, ქალები, ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსსექსუალი ადამიანები, ფემინ-

ისტები, მუსლიმები, ქრისტიანები და ა.შ.). მედიის წარმომადგენლებმა ყოველთვის უნდა მიუთითონ, რომ ესა თუ ის მოსაზრება ცალსახად არის გამიჯნული მათი სარედაქციო პოლიტიკისგან და ამავდროულად, უნდა შეეცადონ, რომ არ გამოიყენონ მოძალადეთა ლექსიკონი.

შემთხვევის აღწერა

Daily Mail - *From smiling Kent schoolboy to murdering jihadi*

24 მარტი, 2017

ქვეთავში 2.5, სადაც სტერეოტიპიზაციიდან მომდინარე საფრთხეზე იყო საუბარი, ვახსენეთ 2017 წელს დიდ ბრიტანეთში ვესტმინსტერის თავდასხმის სახელით ცნობილი შემთხვევა, როდესაც 52 წლის ხალიდ მასუდმა რამდენიმე ადამიანი მოკლა ჯერ მანქანის დაჯახებით, შემდეგ კი დანის გამოყენებით. ქვემოთ მოტანილია ამონარიდები ბრიტანული გამოცემა Daily Mail-ის სტატიიდან:

[1] „*Kent-ის სკოლის მომღიმარი მოსწავლიდან მკვლელ ჯიჰადისტამდე: პოლიცია აქვეყნებს ტერორისტის ფოტოს, სკოლის მეგობარი კი ყვება, რომ პოპულარული ფეხბურთელი „მსუბუქი რასიზმის“ გამო იტანჯებოდა როგორც ერთადერთი შავკანიანი სტუდენტი.*“

[2] „*ეს გახლავთ ვესტმინსტერის ISIS-ით შთაგონებული ჯიჰადისტის ხალიდ მასუდის ზრდასრულობის პირველი ფოტო, რომელიც სკოტლანდ იარდმა გაავრცელა, რადგანაც ცდილობენ, შეაგროვონ ინფორმაცია იყო თუ არა ის ბრიტანეთში მოქმედი უფრო ფართო ტერორისტული ქსელის წევრი.*“

[3] *ბირმინგემში მისი მეზობლები დარწმუნებულები არიან, რომ ის მარტო არ მოქმედებდა, აღწერენ როგორც „უცნაურ*

ტიპს “ და მოიხსენიებენ როგორც „ვამპირს“, ვინაიდან მხოლოდ და მხოლოდ ღამით გამოდიოდა სახლიდან შავებში ჩაცმული.

მიმდინარე თვის დასაწყისში დეტალურმა, 1000-გვერდიანმა კვლევამ ბირმინგემი მსოფლიო ტერორის დედაქალაქად დაასახელა. 1998-2015 წლებში მომხდარ 269 შემთხვევაში, როდესაც ადამიანებს ბრალი წაუყენეს ისლამურ ტერორიზმში ან როდესაც ადამიანებმა თავი აიფეთქეს, 49 ადამიანი უესტ მიდლენდიდან იყო.

კითხვები დისკუსიისთვის

- » მოყვანილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დაახასიათეთ ხალიდ მასუდი? როგორი პორტრეტი შექმნა სტატიამ?
- » ზემოთ ციტირებულ ამონარიდებში რომელია სიტყვები, რომლებიც სადავოდ მიგაჩნიათ ჟურნალისტურ ტექსტებში გამოსაყენებლად?
- » როგორ ფიქრობთ, რა ემოციურ დატვირთვას ატარებენ სიტყვები: ვამპირი, უცნაური ტიპაჟი, ჯიჰადისტი, ტერორის დედაქალაქი.
- » რა სიტყვებით შეიძლებოდა მათი ჩანაცვლება?
- » როგორ ფიქრობთ უნდა მოიხსენიოს თუ არა მედიამ ტერორიზმში ჩართული ადამიანები იმ სახელებით, ეპითეტებით, რომლითაც ისინი საკუთარ თავებს მოიხსენიებენ ან ახლობლები უწოდებენ?

2.8 სოციალური მედია

სოციალური მედიის პოპულარობის ზრდასთან ერთად 2000-იანი წლებიდან მოყოლებული, ისევე როგორც სხვა პრობლემური საკითხ-

ების, ძალადობრივი რადიკალიზებული ჯგუფების გაშუქებასთან დაკავშირებითაც ჟურნალისტები ახალი გამოწვევების წინაშე დადგნენ. Facebook-ის, Twitter-ის, Youtube-ისა და სხვა პლატფორმების უფრო და უფრო აქტიურად გამოყენება, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ჟურნალისტს, მეორე მხრივ კი ეხმარება რადიკალიზებულ ჯგუფებს სხვადასხვა ასპექტში. იმისათვის, რომ რეპორტიორებმა ეფექტიანად გამოიყენონ სოციალური მედია თავიანთ საქმიანობაში და უნებურად რადიკალიზებული ჯგუფების იდეათა უფრო ფართოდ გავრცელებას არ შეუწყონ ხელი, მნიშვნელოვანია იმაზე დაკვირვება, თუ რაში იყენებენ ეს ჯგუფები სოციალურ ქსელებს.

როგორც ტერორიზმთან, ისე მემარჯვენე რადიკალიზაციასთან დაკავშირებულმა ჯგუფებმა სოციალურ მედიას შესაძლოა მიმართონ:

- » თვითორგანიზებისა და ახალი წევრების გადაბირებისათვის (რეკრუტირება);
- » საკუთარი საქმიანობის პოპულარიზაციისა და შიშის ელემენტის რაც შეიძლება ფართოდ გავრცელებისათვის;
- » საკუთარი იმიჯის შესახებ სასურველი ნარატივის შესაქმნელად, არსებობის ნორმალიზებისათვის;
- » ონლაინ ეირიშის მისატანად, მედია ორგანიზაციების ვებსაიტებსა და სოციალური მედიის ანგარიშებზე;
- » მათთან ოპოზიციაში მყოფ ჯგუფებზე ეირიშის მისატანად;
- » ინფორმაციის მოსაგროვებლად და ა.შ.;

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მედიასაშუალებებს დამატებითი ძალისხმევის გაღება მართებთ, რათა არ გახდნენ მსგავსი ჯგუფებისათვის ერთგვარი პლატფორმა, მანიპულაციის მსხვერპლები და მათი იდეოლოგიური პროპაგანდის გამავრცელებლები. ამისათვის შესაძლოა, მედიას დასჭირდეს რესურსების მობილიზება, მაგალითად, საკუთარ ონლაინ ანგარიშებზე ასეთი ჯგუფების აქტიურობის მონიტორინგისა და აღკვეთისათვის. ჩვენს რეალობაში არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როდესაც, მაგალითად, ნეონაცისტური ჯგუფების წევრები ორგანიზებულად ცდილობენ საკუთარი ნარატივის შექმნას და Facebook-ის მომხმარებელთა შეხედულებებზე ზეგავლენის მოხდენას ამა თუ იმ

მედიასაშუალებების სოციალური მედიის ანგარიშებზე აქტიურობით. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ასეთი პრაქტიკაა სხვადასხვა მოვლენიდან მედიასაშუალებების Facebook-ის პირდაპირი ჩართვებისას კომენტარების ველში მათი აქტიურობა.

კოლუმბიის ურნალისტიკის სკოლის ციფრული ურნალისტიკის Tow Center-ის გამოქვეყნებულ მიმოხილვაში ჩარლი ბეკეტი აღნიშნავს, რომ სოციალური მედიის გამოჩენამ გააფართოვა ტერორიზმის მასშტაბები და გავლენა, ვინაიდან გაიზარდა დეზინფორმაციის გავრცელების საშუალებები და შესაძლებელი გახდა გავრცელებულ ინფორმაციაზე აუდიტორიისგან კომენტარის მიღება (2016). “ურნალისტიკები, რომლებიც იყენებენ სოციალურ მედიას როგორც პლატფორმას ან წყაროს, ყოველთვის ვერ ახერხებენ საუკეთესო სარედაქციო სტანდარტის დაცვას. სოციალურმა მედიამ შეცვალა თავად ტერორიზმთან დაკავშირებული ახალი ამბების ბუნება მაგალითად, ვიზუალური მასალების, თვითმხილველთა მონათხრობისა თუ Live-ვიდეოების დამატების თვალსაზრისით. მაგრამ ამავდროულად, ის შეიძლება იყოს მაცდური, ამბების დამახინჯების ან ყურადღების არასათანადო აქცენტებზე გამახვილების მიზეზი. ურნალისტიკები ადაპტირდებიან ამ ახალ კონტექსტთან, თუმცა ჯერ კიდევ დგას პრაქტიკული და პოლიტიკასთან დაკავშირებული გამოწვევები გადამონმებისა და შეფასებების გაკეთების თვალსაზრისით, - აღნიშნავს ბეკეტი (2016: 7).

ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული ჯგუფების მიერ სოციალური ქსელების გამოყენების პრაქტიკიდან და მედიის გამოწვევებიდან გამომდინარე, რამდენიმე პრობლემური საკითხი უნდა გამოიყოს, რომელსაც ურნალისტიკებმა ყურადღება უნდა მიაქციონ:

- » მედიასაშუალებები მზად უნდა იყვნენ, რომ ძალადობრივ ექსტრემიზმში ჩართული ჯგუფები შეეცდებიან ონლაინ არხების გამოყენებას, რათა მათ შესახებ სასურველი ნარატივი გაჩნდეს მედიაში;
- » ასეთმა ჯგუფებმა შესაძლოა, იერიშიც მიიტანონ სოციალურ ქსელებში მედიის ანგარიშებზე, რასთან გასამკლავებლადაც გამოცემებს სტრატეგია უნდა ჰქონდეთ შემუშავებული;

- » ჟურნალისტებმა უნდა გაითვალისწინონ სოციალური მედიით დეზინფორმაციის გავრცელების სიმარტივე, ამიტომ ინფორმაციის გადამოწმების აუცილებლობა კიდევ უფრო აქტუალური უნდა იყოს;
- » მედიამ ხელი უნდა შეუშალოს ძალადობრივ ჯგუფებს, რომ არ გამოიყენონ მათი პლატფორმები, მათ შორის კომენტარების სექცია საკუთარი იდეოლოგიის გასავრცელებლად;
- » ისევე როგორც ტელეეთერში, Facebook Live-ის, Youtube Lives-tream-ის ან სხვა მსგავსი პლატფორმების გამოყენებისას, მედია ფრთხილად უნდა იყოს, რომ არ იქცეს სიძულვილით მოტივირებული ჯგუფების ტრიბუნად. შესაბამისად, პირდაპირი მაუნყებლობისას მან უნდა განუმარტოს მაცურებელს/მსმენელს თუ რას ადევნებს ის თვალ-ყურს, რა ხდება მოქმედების ადგილას და რა უნდა იცოდეს მან მიმდინარე მოვლენებზე წარმოდგენის შესაქმნელად.

როგორც ჩარლი ბეკეტი დამატებით აღნიშნავს, გამჭვირვალობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როდესაც საუბარია ჟურნალისტიკასა და სოციალურ მედიაზე. სოციალური მედია შეიძლება იყოს ღირებული და მნიშვნელოვანი წყარო, მაგრამ მისი გადამოწმება და კონტექსტში ჩასმა ყოველთვის უნდა მოხდეს.

შემთხვევის აღწერა

2017 წელს, საქართველოში რამდენიმე გაერთიანება გამოჩნდა საჯარო სივრცეში, რომლებსაც ნაციონალისტური და ანტი-საემიგრაციო მისწრაფებები გაცხადებული აქვთ. 14 ივლისს, ამ გაერთიანებათა ნაწილმა, თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე მსვლელობა მოაწყო სახელწოდებით „ქართული მარში“. მოგვიანებით სწორედ მსვლელობის სახელი დაერქვა ჯგუფს, რომელიც ორგანიზებას უწევდა მას.

ქართული მარშის მსვლელობა არაერთმა მედიასაშუალებამ პირდაპირ ეთერში გადასცა, ერთ-ერთი იყო რადიო თავისუფლე-

ბა, რომელმაც Youtube-ისა და Facebook-ის ანგარიშებზე პირდაპირი ჩართვა გაუშვა. ერთ-ერთი ასეთი ჩართვის ჩანაწერი დღემდე დევს არხის Youtube არხზე. დაახლოებით 1 საათი და 15 წუთის სიგრძის ვიდეო დეტალურად ასახავს მარშის მსვლელობას მისი დაწყებიდან კულმინაციამდე (მარშის ნევრების სიტყვით გამოსვლა). სხვადასხვა პერიოდულობით კადრებში ხვდება მარშის ორგანიზატორთა ქსენოფობიური და დისკრიმინაციული მოწოდებები, ინტერვიუები, გამონათქვამები, ეგზალტირებული ადამიანების ანტისაემიგრაციო მოთხოვნები და ა.შ. ჟურნალისტი თითქმის არ ერევა მთელი ჩანაწერის მანძილზე, არ აკეთებს კომენტარს და მაყურებელს სთავაზობს დაუმუშავებელ მასალას იმისა, თუ რა ხდებოდა იმ დღეს აღმაშენებლის გამზირზე.

აქვე, მაგალითისთვის მოვიყვანთ რამდენიმე მომხმარებლის კომენტარს, რომელიც რადიო თავისუფლების Youtube არხზე კვლავაც იძებნება:

„ნუთუ ვერ ხედავთ, რომ არაბებმა და ირანელებმა და კიდევ სხვებმა გადაამეტეს. აღმაშენებელი მართლა წაიბილნა და სხვაგანაც ცუდი ამბებია. ესენი რო უვნებელი მიზნით ჩამოსული უცხოელების გაძევებას ითხოვდნენ, მე არ დავუჭერდი მხარს. საკუთარის დაცვა არაა შოვინიზმი. შევეცადოთ სხვა კუთხით შევხედოთ.“

„მეამაყება რომ ქართველი ვარ როცა ესეთ რაღაცას ვხედავ აბა რა პირველად პრიორიტეტი ქართველი უნდა იყოს ჩვენს ქვეყანაში და შემდეგ უცხოელი როგორც ყველაა განვითარებულ ქვეყანაშია ძირს ლიბერალიზმი და ლალატიი,“

„ამ აქციის წინააღმდეგი მარტო პილარასტებია და თათრები.....“

კითხვები დისკუსიისთვის

- » როგორ ფიქრობთ, რა ინფორმაციას მიიღებდა აქ მოყვანილი პირდაპირი ტრანსლირების მაცურებელი? შეექმნებოდა თუ არა მას სრული სურათი თუ რა ხდებოდა იმ დღეს აღმაშენებლის გამზირზე?
- » რამდენად სწორი იყო მედიასაშუალებების გადანყვეტილება, რომ ჟურნალისტს მხოლოდ და მხოლოდ ტრანსლირება მოეხდინა მსვლელობის და არავითარი კომენტარი არ დაერთო მისთვის? რა დაკარგა ამით მაცურებელმა და რა მიიღო?
- » თქვენი აზრით, გახდა თუ არა ამ კონკრეტულ შემთხვევაში მედიასაშუალება ნაციონალისტური შეხედულებების მქონე ჯგუფების იდეოლოგიის უბრალო გამტარი?
- » როგორ შეეძლო ამისაგან თავის დაზღვევა?
- » როგორ თვლით, ასეთი შემთხვევების დროს, მედიამ უნდა მოახდინოს თუ არა კომენტარების ველის შეზღუდვა მომხმარებლებისთვის?
- » უწყობს თუ არა, ასეთი შემთხვევების პირდაპირი ჩართვებით ტრანსლირებისას, მომხმარებელთა კომენტარები საზოგადოებაში ჯანსაღი დისკუსიის დანწყებას?

ძალადობრივ ექსტრემიზმთან და ტერორიზმთან დაკავშირებულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი³

1. Far-Right Extremism (მემარჯვენე ექსტრემიზმი)- კონსერვატიული იდეოლოგიის ფორმა, რომელიც როგორც წესი, მხარს უჭერს ნეონაციზმს, რასიზმსა და ქსენოფობიას [5].

2. დაეში - იგივე ISIS - ისლამური სახელმწიფო (IS), ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო (ISIL), ერაყისა და სირიის ისლამური სახელმწიფო (ISIS) - სალაფიტური ჯიჰადისტური შეიარაღებული დაჯგუფება და ყოფილი არაღიარებული პროტო-სახელმწიფო, რომელიც მისდევს სუნიტური ისლამის სალაფიტურ, ფუნდამენტალისტურ დოქტრინას. საერთაშორისო ყურადღება მიიპყრო 2014 წლიდან, როდესაც დასავლეთ ერაყის რამდენიმე მნიშვნელოვანი ქალაქიდან ადგილობრივი სამთავრობო ძალები განდევნა და დაიკავა მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ადგილები, მათ შორის ქალაქი მოსული და მოანყო სინჯარის მასობრივი წმენდა. სიტყვა „დაეში“ ძირითადად გამოიყენება ჯგუფის ლეგიტიმურობის კითხვის ნიშნის ქვეშ დასაყენებლად, სიტყვის ნეგატიური კონოტაციიდან გამომდინარე [4].

3. ექსტრემიზმი - იდეათა ერთობლიობა, იდეოლოგია, რომელიც არ აღიარებს ადამიანთა თანასწორობის პრინციპს, მხარს უჭერს სიძულვილს, შეუწყნარებლობას, ძალადობას, საფრთხეს უქმნის ქვეყნის დემოკრატიულ წყობას და კანონის უზენაესობას [6].

4. თეთრკანიანთა უპირატესობის რწმენა - (white supremacism) რასისტული იდეოლოგია, რომელიც მიიჩნევს, რომ კავკასიური რასა არის არათეთრკანიან ადამიანებზე აღმატებული ბიოლოგიურად, ბუნებრივი გონებრივი შესაძლებლობებითა თუ თანდაყოლილი უფლებების ნიშნით. ამ იდეოლოგიის ზოგიერთი მიმდევრის რწმენით „თეთრ რასაში“

3. თითოეული განმარტების ბოლოს მითითებულია ლექსიკონის თანდართული წყაროების ნომერი.

მხოლოდ ევროპის კულტური, გერმანიკული და ნორდიკული ხალხები შედის, ზოგიერთი კი მასში აერთიანებს ყველა კავკასიური რასის ადამიანს, მათ შორის აღმოსავლეთ ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის რეგიონების მაცხოვრებლებს [1].

5. კიბერტერორიზმი - კანონით დაცული კომპიუტერული ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, მისი გამოყენება ან გამოყენების მუქარა, რაც ქმნის მძიმე შედეგის საშიშროებას, ჩადენილი მოსახლეობის დაშინების ან/და ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით [10]

6. კონტრ-რადიკალიზაცია - პოლიტიკები და პროგრამები, ისეთი პირობების შესაქმნელად, რომლებიც ცალკეულ ინდივიდებს დაეხმარებათ, რათა არ მოხდეს მათი ჩართვა ტერორიზმში. იგი გამოიყენება ფართო მნიშვნელობით და აღნიშნავს სოციალური, პოლიტიკური, საკანონმდებლო, საგანმანათლებლო და ეკონომიკურ პროგრამათა პაკეტს, რომელიც სპეციალურად არის შექმნილი, რათა ხელი ააღებინოს (სავარაუდოდ უკვე რადიკალიზებულ) ინდივიდებს გადანყვეტილებაზე, რომ ჩაერთონ ტერორიზმში [7].

7. კონტრტერორიზმი - ეს არის პოლიტიკაში გადანყვეტილებების მიმღები პირების, სამართალდამცავების, სამთავრობო ოფიციალური პირების, ბიზნესისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთიანი მცდელობა წინააღმდეგობა გაუწიონ და აღმოფხვრან ტერორიზმი [4].

8. კონტრტერორისტული ოპერაცია - სპეციალურ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მიმართულია ტერორისტული ხასიათის დანაშაულებრივი ქმედების თავიდან აცილებისა და აღკვეთისაკენ, ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ, ტერორისტების გაუვნებლობისაკენ და ტერორისტული აქტის ან/და ტერორისტული მიზნით განხორციელებული სხვა დანაშაულის მოსალოდნელი შედეგების მინიმუმამდე შემცირებისაკენ.

9. მოჯაჰედი - მუსლიმი ადამიანი, რომელიც შეიარაღებულ ჯიჰადში ჩაერთვება. ეს ტერმინი გამოყენებული აქვს სხვადასხვა მუსლიმურ პოლიტიკურ და პარამილიტარულ დაჯგუფებასაც საკუთარ დასახელებაში [1/7]

10. ნაციზმი - გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტი-ის იდეოლოგია, პოლიტიკა და პრაქტიკა გერმანიაში 1919-45 წლებში; შესაძლოა შეგხვდეთ როგორც ჰიტლერიზმის ან ნაციონალ-სოციალ-იზმის სახელით. ზოგჯერ გამოიყენება როგორც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ფაშისტური ჯგუფების აღმნიშვნელი სიტყვა (იხ. ნეონაციზმი). მისი, როგორც პოლიტიკური პროექტის მიზანი მესამე გერმანული რაიხის შექმნა იყო, რომლის დროსაც იდეოლოგიას მილიონ-ობით მომხრე გამოუჩნდა და რომელსაც რამდენიმე მილიონი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. [2]

11. ნაციონალიზმი - ეს ტერმინი ორი ძირითადი მნიშვნელობით გამოი-ყენება - როგორც იდეოლოგია და როგორც გრძნობა. პირველი მნიშვნე-ლობით იგი ემყარება ნაციის, ერის ცნებას და გარკვეულ პოლიტიკურ და კულტურულ მიზნებს ისახავს. მათ შორის უმთავრესია ეროვნული თვითგამორკვევის იდეა. მეორე მნიშვნელობით ნაციონალიზმი არის გრძნობა, რომლის მიხედვითაც, ერი და ერი-სახელმწიფო არის უმა-ღლესი ღირებულება და ამ ღირებულებებისადმი ლოიალობა უპირატე-სია ყველა სხვა ლოიალობასთან შედარებით. ე.ი. ეროვნული ინტერესები მაღლა უნდა იდგეს პირად, ნათესაურ, ტომობრივ, კლასობრივ რელი-გიურ თუ ზოგადსაკაცობრიო ინტერესებზე. [3]

12. ნეონაციზმი - პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც მხარს უჭერს გერმანიის მესამე რაიხის იდეოლოგიის რეაბილიტაციას, აღდგენასა და რომანტიზაციას. როგორც წესი, ნეონაციისტები მხარს უჭერენ კონსტი-ტუციური დემოკრატიული წეს-წყობილების გადაგდებას რასისტული, ტოტალიტარული სახელმწიფოს სასარგებლოდ და ამის მისაღწევად პოლიტიკური ძალადობისა და ტერორიზმის ფორმებს გამართლებ-ულად მიიჩნევენ. ნაციისტების დოქტრინა, რომელსაც, თავის მხრივ, ნეონაციისტების იდეოლოგია ეფუძნება, ორ მთავარ შეხედულებაზე დგას: ინდო-ევროპული („არიული“) რასის უპირატესობასა და ებრაელი ხალხის, როგორც არიული რასის წარმომადგენელთა მთავარი მტრის აღქმას. [1]

13. ნეოფაშიზმი - პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც ეთნიკურად და რასობრივად ჰომოგენური საზოგადოების შექმნისაკენ მიისწრაფვის,

ავტორიტარი მმართველისათვის მინიჭებული ძალაუფლების მეშვეობით [4].

14. რადიკალიზაცია - პროცესი, როდესაც პირი საკუთარი მოსაზრებების გავრცელებისა და გარკვეული იდეოლოგიის მხარდაჭერისას შესაძლოა გასცდეს კანონის ფარგლებს და ჩაერთოს ტერორისტულ ან/და ექსტრემისტულ საქმიანობაში. აღნიშნულ პროცესში იკვეთება პირის მზაობა, მისი მიერ მხარდაჭერილი იდეოლოგიის მიზნებისთვის დაეთანხმოს ან/და საჭიროების შემთხვევაში მიმართოს ძალადობრივ მეთოდებს [6].

15. ტერორიზმი - ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, მიმართული ფიზიკური ან იურიდიული პირების წინააღმდეგ, შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების, კომუნიკაციების და სხვა მატერიალური ობიექტების განადგურება-დაზიანება ან მათი განადგურება-დაზიანების მუქარა იარაღის, ასაფეთქებელი მასალების, ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური თუ სხვა, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერების გამოყენებით ან ადამიანის გატაცებითა თუ მძევლად აყვანით, რათა ხელისუფლება ანდა მისი რომელიმე ორგანო ან საერთაშორისო ორგანიზაცია იძულებული გახდეს, განახორციელოს გარკვეული ქმედება ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედების განხორციელებისაგან, რომელიც ტერორისტების მართლსაწინააღმდეგო ინტერესებში შედის. ამ თემაზე მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ სახელმძღვანელოს 1-ლი თავი [9].

16. ტერორისტი - პირი, რომელიც მონაწილეობს ტერორისტულ საქმიანობაში [9].

17. ტერორისტული აქტი - აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, ადამიანზე თავდასხმა, იარაღის გამოყენება ან სხვა ქმედება, რომელიც ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას, ჩადენილი ტერორისტული მიზნით, ან ტერორისტული აქტის ჩადენის მუქარა. [9]

18. ტერორისტული მიზანი – მოსახლეობის დამინება ან ხელისუფლების ორგანოს, უცხო ქვეყნის ხელისუფლების ორგანოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება, ან ქვეყნის/უცხო ქვეყნის/საერთაშორისო ორგანიზაცი-

ის ფუნდამენტური პოლიტიკური, კონსტიტუციური, ეკონომიკური ან სოციალური სტრუქტურების დესტაბილიზაცია ან განადგურება.

19. ტერორისტული ორგანიზაცია - ორგანიზაცია (მიუხედავად მისი ფორმისა), შექმნილი ტერორისტული საქმიანობის განხორციელების მიზნით. ორგანიზაცია შეიძლება ცნობილ იქნეს ტერორისტულ ორგანიზაციად, თუ ის არის დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებული ორზე მეტი პირის ორგანიზებული გაერთიანება. ორგანიზებულ გაერთიანებად ჩაითვლება გაერთიანება, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს განანილებული როლები გაერთიანების წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა [9].

20. ულტრანაციონალიზმი - ნაციონალიზმთან შედარებით უფრო მისტიკური და არარაციონალური საფუძველი აქვს. მას რადიკალური ქსენოფობია აპყავს იდეოლოგიის რანგში და მიიჩნევს, რომ უცხოელები სრულყოფილი ადამიანები არ არიან. ამ იდეოლოგიით მოქალაქეობა გათანაბრებულა ეთნიკურობასთან და იგი ინდივიდს უმორჩილებს ერის უპირატესობის რწმენას. ულტრანაციონალიზმი არის არსებითად რასისტული იდეოლოგია, რაც შეიძლება სხვადასხვა მოცემულობაში გამოიხატოს წარსულის კონკრეტული პერიოდის მითოლოგიზაციით, ფიზიკური ანთროპოლოგიის, გენეტიკის და ევგენიკის ვულგარული ფორმების ინტენსიური გამოყენებით საკუთარი შეხედულებების რაციონალიზაციისათვის. [2]

21. ფაშიზმი - ტერმინი წარმოიშვა რომის იმპერიაში მაგისტრატების მიერ ხალხის ერთიანობის სიმბოლოდ გამოყენებული ტოტების კონისაგან („ფასციო“), რომელშიც ჩადებული იყო ნაჯახი (მმართველობის სიმბოლო). ფაშიზმი მემარჯვენე რადიკალი ნაციონალისტების იდეოლოგიაა, რომელიც მიისწრაფვის ტოტალიტარიზმისაკენ. დასავლურ პოლიტიკურ ლიტერატურაში ფაშიზმი შეიძლება გაგებული იყოს უკიდურესი ნაციონალიზმის სამხედრო ფორმად, რომელიც სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ყოველმხრივ ახალისებდა ომის გაჩაღებას. პირველი ფაშისტური მოძრაობა, რომელიც ხელისუფლების სათავეში მოვიდა ევროპაში (1922), იყო იტალიის ფაშისტური ორგანი-

ზაცია მუსოლინის მეთაურობით. მისი მონათესავე მოძრაობები იყო: გერმანიის ნაციონალ-სოციალისტები, ესპანელი ფალანგისტები, მოძრაობა „აქსიონ ფრანზესი“ საფრანგეთში. ფაშისტური იდეოლოგიისათვის დამახასიათებელია საკუთარი ერის განდიდება და მისი ყველა სხვა ერისაგან გამორჩეულობის, მისი კულტურის უნიკალურობის მტკიცება [3].

22. შარიათი - ისლამური სამართლის კოდექსი. რჯულის კანონი, რომელსაც „ისლამურ ქვეყნებში“ სახელმწიფო სამართლის სტატუსი აქვს.

23. ჯიჰადი - ტერმინი ისლამში, რომელიც სხვადასხვა ვარიაციით ითარგმნება როგორც „ტანჯვა“, „სწრაფვა“ ან „წმინდა ომი“. ძალადობრივი ისლამური ჯგუფები მას თარგმნიან როგორც „წმინდა ომს“ და იყენებენ არამუსლიმ ხალხებთან ძალადობრივ კონფლიქტში ჩართვის გამამართლებლად. ზოგიერთი მუსლიმისათვის ტერმინი შეურაცხმყოფელ კონოტაციას ატარებს [5/7]. მინიმუმ სამი სხვადასხვა ჯგუფი იყენებდა ამ ტერმინს წმინდა ომის მნიშვნელობით - ჰეზბოლა, ეგვიპტური ისლამური ჯიჰადი და პალესტინის ისლამური ჯიჰადი [1].

24. ჯიჰადიზმი - რწმენა, რომ ჯიჰადის გამოყენება არის საჭირო ისლამის მიზნების მისაღწევად. მუსლიმური საძმო, ალ-ქაიდასა და საიიდ ქუთბის დამფუძნებლებს სჯერათ, რომ ჯიჰადი არამუსლიმების წინააღმდეგ უნდა იყოს ყოველი მუსლიმი ინდივიდის ინდივიდუალური მოვალეობა [5].

ლექსიკონში გამოყენებული წყაროები:

- 1) Anderson, Sean, and Stephen Sloan. 2009. *Historical Dictionary Of Terrorism*. 3rd ed. Lanham, Md.: Scarecrow Press.
- 2) Blamires, Cyprian, and Paul Jackson. 2006. *World Fascism*. Santa Barbara, Calif.: ABC-CLIO.
- 3) კოდუა, ედუარდ. 2004. *სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი*. თბილისი: გამომცემლობა “ლოგოს-პრესი.”
- 4) Anon. 2019. “P-CVE | Glossary.” Rcc.int. ნანახია 17 მარტი, 2019 (<https://www.rcc.int/p-cve/glossary>)
- 5) Anon. 2019. “Glossary.” Counter Extremism Project. ნანახია 17 მარტი, 2019 <https://www.counterextremism.com/glossary>
- 6) ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნულ სტრატეგია, ნანახია 17 მარტი, 2019, http://gov.ge/files/524_69782_874672_rotated_53.pdf?fbclid=IwAR25TZYW_udVPdXIN7tZ2FmHq3CEIzugyILRxnYITqZQ68sCq1tEqMGGPXg
- 7) Anon. 2019. “Radicalisation Glossary.” *R2PRIS Radicalisation Prevention in Prisons*. ნანახია 17 მარტი, 2019 <http://www.r2pris.org/glossary.html>.
- 8) კიკნაძე, ზურაბ. 2008. *რელიგიები საქართველოში*. თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი.
- 9) “საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ.” სსიპ “საქართველოს საკანონმდებლო მაცნე”. 2007 ნანახია 17 მარტი, 2019 https://matsne.gov.ge/ka/document/view/21796?publication=11#part_3.
- 10). “საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.” სსიპ “საქართველოს საკანონმდებლო მაცნე” 1999. ნანახია 17 მარტი, 2019 <https://matsne.gov.ge/document/view/16426?publication=205> .

გამოყენებული ლიტერატურა

1. Alava, Séraphin, Divina Frau-Meigs, Ghayda Hassan, Hasna Hussein, and Yuanyuan Wei. 2017. *Youth And Violent Extremism On Social Media*. Paris: United Nations Educational, Scientific and Cultural Organization.
2. Altheide, David L. 2007. "The Mass Media And Terrorism." *Discourse & Communication* 1(3):287-308.
3. non. 2016. *Guidelines On News Coverage Of Terrorism*. Barcelona: Consell de l'Audiovisual de Catalunya.
4. Anon. 2019. "BBC - War, Terror And Emergencies: Accuracy And Impartiality - Editorial Guidelines." *Bbc.co.uk*. Retrieved March 17, 2019 (<https://www.bbc.co.uk/editorialguidelines/guidelines/war-terror-emergencies/accuracy-and-impartiality>).
5. Anon. 2019. "Main Page - Handbook Of Journalism." *Handbook.reuters.com*. Retrieved March 17, 2019 (http://handbook.reuters.com/index.php?title=Main_Page).
6. Art, David. 2007. "Reacting To The Radical Right." *Party Politics* 13(3):331-349.
7. Archetti, Cristina. 2013. *Understanding Terrorism In The Age Of Global Media*. New York: Palgrave Macmillan.
8. Beckett, Charlie. 2016. *Fanning The Flames: Reporting On Terror In A Networked World*. Tow Center for Digital Journalism Columbia Journalism School. Retrieved March 17, 2019 (<https://bit.ly/2W5e0dh>).
9. Biernatzki, William E. 2002. "Terrorism And Mass Media." *Communication Research Trends* 21(1).
10. Borum, Randy. 2011. "Radicalization Into Violent Extremism II: A Review Of Conceptual Models And Empirical Research." *Journal of Strategic Security* 4(4):37-62.
11. Cohen-Almagor, Raphael. 2005. "Media Coverage Of Acts Of Terrorism: Troubling Episodes And Suggested Guidelines." *Cjc-online.ca*. Retrieved March 17, 2019 (<https://www.cjc-online.ca/index.php/journal/article/view/1579/1734>).
12. Crouch, Ian. 2019. "The Inconvenient Image Of Dzhokhar Tsarnaev."

The New Yorker. Retrieved March 17, 2019

(<https://www.newyorker.com/news/news-desk/the-inconvenient-image-of-dzhokhar-tsarnaev>).

13. Davies, Caroline. 2019. “No ‘Lone Wolf’: Media Urged To Take Care Over Terrorism Vocabulary.” *the Guardian*. Retrieved March 17, 2019

(<https://www.theguardian.com/uk-news/2018/sep/24/no-lone-wolf-media-urged-to-take-care-over-terrorism-vocabulary>).

14. Ellinas, Antonis A. 2010. *The Media And The Far Right In Western Europe*. Cambridge: Cambridge University Press.

15. Ferguson, Kate. 2016. *Ountering Violent Extremism Through Media And Communication Strategies: A Review Of The Evidence..* Cambridge: Partnership for Conflict, Crime & Security Research (PaCCS).

16. Gallie, Walter B. 1955. Essentially Contested Concepts. *Proceedings of the Aristotelian Society*, 56, new series, 167-198. Retrieved from

<http://www.jstor.org/stable/4544562>

17. Gamson, William A., and Gadi Wolfsfeld. 1993. “Movements And Media As Interacting Systems.” *The ANNALS of the American Academy of Political and Social Science* 528(1):114-125.

18. Hoskins, Andrew, and Ben O’Loughlin. 2009. “Media And The Myth Of Radicalization.” *Media, War & Conflict* 2(2):107-110.

19. Jařab, Josef. 2019. “Media And Terrorism.” *Assembly.coe.int*. Retrieved March 17, 2019

(<http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/X2H-Xref-ViewHTML.asp?FileID=10914&lang=en>).

20. Kallis, Aristotle, Sara Zeiger, and Bilgehan Öztürk. 2018. *Violent Radicalisation And Far-Right Extremism In Europe*. Istanbul: SETA Publications.

21. Koehler, Daniel. 2016. “Right-Wing Extremism And Terrorism In Europe Current Developments And.” *PRISM | National Defense University*. Retrieved March 17, 2019

(<https://cco.ndu.edu/PRISM/PRISM-Volume-6-no-2/Article/839011/right-wing-extremism-and-terrorism-in-europe-current-developments-and-issues-fo/>).

22. Marthoz, Jean Paul. 2017. *Terrorism And The Media*. Paris: United Nations Educational, Scientific and Cultural Organization (UNESCO).

23. Maskaliūnaitė, Asta. 2015. “Exploring The Theories Of Radicalization.” *International Studies*. Interdisciplinary Political and Cultural Journal 17(1):9-26.
24. Nacos, Brigitte L. 2006. “Terrorism/Counterterrorism And Media In The Age Of Global Communication.” in *United Nations University Global Seminar Second Shimane-Yamaguchi Session - Terrorism—A Global Challenge*. Retrieved March 17, 2019
(http://archive.unu.edu/gs/files/2006/shimane/Nacos_text_en.pdf).
25. Norris, Pippa, Montague Kern, and Marion Just. 2003. *Framing Terrorism*. New York: Routledge.
26. Rapoport, David C. 1984. “Fear And Trembling: Terrorism In Three Religious Traditions.” *American Political Science Review* 78(03):658-677.
27. Rydgren, Jens. 2018. *The Oxford Handbook Of The Radical Right*. New York: Oxford University Press.
28. Schmid, Alex. 2004. “Terrorism - The Definitional Problem.” 36 *Case W. Res. J. Int’l L.* 36(2):375.
29. Sierakowski, Slawomir. 2019. “How Eastern European Populism Is Different.” *Project Syndicate*. Retrieved March 17, 2019
(<https://www.project-syndicate.org/commentary/populism-stronger-in-eastern-europe-by-slawomir-sierakowski-2018-01?barrier=accesspaylog>).
30. Smith, Sydney. 2016. “Guardian’s 3 Guidelines For Reporting On ISIS Murder Videos - Imediaethics.” *iMediaEthics*. Retrieved March 17, 2019
(<https://www.imediaethics.org/guardians-3-guidelines-for-reporting-on-isis-murder-videos/>).
31. Spencer, Alexander. 2012. *Lessons Learnt - Terrorism And The Media*. Swindon,: The Arts and Humanities Research Council (AHRC).
32. TerRa. 2014. *Guidelines Journalists*. IMPACT, PARTNER IN ARQ. Retrieved March 17, 2019 (<https://terrakit.eu/journalists/>).
33. The ADL Center on Extremism (COE). 2019. *Murder And Extremism In The United States In 2018*. Anti-Defamation League.
34. Turner, Karen. 2017. “How Can Journalists Responsibly Cover Neo-Nazis? A Media Scholar Gives His Advice..” *Vox*. Retrieved March 17, 2019
(<https://www.vox.com/identities/2017/12/1/16720042/neo-nazis-new-york-times-alt-right>).

35. ანონ. 2018. “საქართველოს მთავრობამ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგია დაამტკიცა.” Ssg.gov.ge. ნანახია 17 მარტი, 2019

(<https://ssg.gov.ge/news/443/The-Government-of-Georgia-has-Approved-National-Strategy-of-Georgia-on-Fight-against-Terrorism>).

36. ანონ. 2018. “ფაშისტური მოძრაობის ლიდერი, გიორგი ქელიძე უკანონო იარაღისთვის დააკავეს.” ტაბულა. ნანახია 17 მარტი, 2019

(<http://www.tabula.ge/ge/story/136399-fashisturi-modzraobis-lideri-giorgi-chelidze-ukanono-iaraghistvis-daakaves>).

37. ანონ. 2019. “”დანაშაულებრივი ჯგუფი” თუ “ტერორისტული ორგანიზაცია” - რა ვიცით სპეცოპერაციის შესახებ.” თაბულა. ნანახია 17 მარტი, 2019

(<http://www.tabula.ge/en/node/126792>).

38. ბარქაია, მაია, და ბარბარე ჯანელიძე. 2018. უსაფრთხოების მზერის ქვეშ: ისტორია, რელიგია და პოლიტიკა პანკისის ხეობაში. თბილისი: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC).

39. გოგუაძე, გიორგი, და სერგი კაპანაძე. 2015. დაეში და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები. თბილისი: საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS).

40. გოგუაძე, გიორგი. 2018. რადიკალიზაციასა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მექანიზმების გაუმჯობესება საქართველოში. თბილისი: საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრი (GCSD). ნანახია 17 მარტი, 2019

(<https://bit.ly/2udqWBO>).

41. დიასამიძე, გიორგი. 2019. “პროკურატურის განცხადება საფაროვის შესახებ ქსენოფობიურ მკვლევლობაზე |.” ნეტგაზეთი. ნანახია 17 მარტი, 2019

(<http://netgazeti.ge/news/310612/>).

42. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. 2019. “ტერორიზმთან დაკავშირებული თემების გაშუქება.” ღარტია.გე. ნანახია 17 მარტი, 2019

(<https://www.qartia.ge/sakhelmdzghvanelo-tsesemi1/article/29310-terorizmtan-dakavshirebuli-temebis-gashuqeba>).

